

ზოგჯერ თქმა სჯობს წმინტყმას...



ბიულეტენი



უნივერსიტეტი

12
თებერვალი,
ოთხშაბათი,
2014 წ., №2

გიორგი მარგველაშვილი:

„ჩემთვის უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების კერა. ეს არის ის ცენტრი, რომლის ირგვლივაც შენდება დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ქართული სახელმწიფო. ამდენად, როგორც სახელმწიფოს მეთაური, როდესაც ვიფიქრებ, როგორ განვითარდეს ჩვენი ქვეყანა, მუდმივად დაუპირისუფლები უნივერსიტეტს და აქედან ავიღებ იმის კალს, რომ საზოგადოებას ვემსახურო“

მარიამ ლორთქიფანიძე:

„ღღას ვხედავ, რომ შეიცვალა დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ. სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ მოიხედა, რაც იმის იმედს მაქლავს, რომ ის, რისი გამოსწორებაც საჭიროა, ამალი გამოსწორდება“

შემოგზავნა უნივერსიტეტისკენ

თსუ 96 წლისაა

პრაზიკა უნივერსიტეტში სტუმრობისადმი ისტორიული მოლოდინების და თანამდებო აქტიურობის აკომა წარსულს ჩაბარდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 96-ე წელი თსუ-მ მის ყველა გულშემატკივართან ერთად აღნიშნა. უნივერსიტეტის ეზოში შემოსვლის ნებართვა სპეციალურად შედგენილ სამთავრობო სივრცე ალარ იყო დამოკიდებული და პრაზიკა უნივერსიტეტის მოლოდინში არც სტუდენტთა ჯგუფები დადიოდნენ მებაჟოებით უნივერსიტეტის დოკუმენტაციას. ხელისუფლების შეცვლით გამოწვეული ეს სიხალისე სიმშვიდის ელფარს სქენდა იმ დონისკივას, რომელსაც საუნივერსიტეტო საზოგადოება უნივერსიტეტის იუბილეს აღსანიშნავად 8 თებერვალს მართავდა. დონისკივები უნივერსიტეტის დაარსებულთა საფლავების შემოკრებით დაიწყო. უნივერსიტეტის რაქტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პა-



პავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა თუ აკადემიური პარსონალის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ერთად, თსუ-ის პანთეონში პირველად ივანე ჯავახიშვილის საფლავს მიეახლა, ხოლო შემდეგ ყველა იმ დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის საფლავი შეაგვიკო ყვავილებით, რომლებმაც 1918 წელს რუსეთის იმპერიაში პირველი არარუსულენოვანი უმაღლესი სასწავლებლის, ხოლო ამიერკავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსებას ჩაუყარეს საფუძველი. საიუბილეო შეკრებას საქართველოს პრაზიკა უნივერსიტეტი და საქართველოს მთავრობის წევრები: ფინანსთა მინისტრი, თსუ-ის პრეზიდენტი როდარ ხაღური და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი, თსუ-ის პრეზიდენტი დავით ნარამიძეც შეუერთდნენ.

წომარები

- თსუ-სთვის შეუფერებელი საქმიანობის შესაძლო განხორციელებას რექტორი განცხადებით ეხმაურება 4
 - კვლევითი ინსტიტუტების საბაზო დაფინანსება მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალზე განერილი 7
 - გზავნილი ადმინისტრაციის კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების პროფესორებისგან ... 10
 - ფრიდონ თოდუა:**
სრულყოფილი პროვინება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება გახდეს 11
- სტუდენტური ჩანართი**
გვ. 8-9

სახელმძღვანელო ჟურნალისტიკისათვის ქართულ-ფრანგული ერთობლივი პროექტი



2013 წელი ქართული ჟურნალისტიკისთვის მნიშვნელოვანი და სანთარესო აღმოჩნდა: ნოემბრის გომოს ქართველი და ფრანგი სპეციალისტების ინიციატივით მომზადებული ჟურნალისტიკის პირველი სახელმძღვანელო გამოიცა. სახელმძღვანელო საქართველოსა და საფრანგეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი პროექტია, რომლის შექმნის იდეაც გურამ თვარტოქიას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებს — მარინა ვეკუასა და რეიზის უნივერსიტეტის პროფესორს ჟილ რუას ეკუთვნით. ნიგნეა 13 პროფესორი მუშაობდა, სამუშაო პროცესმა 3 წელს გასტანა. ნაშრომი მოცულობითია: 11 თავისგან შედგება და 300 გვერდს აღემატება. სახელმძღვანელო გამოცემა გურამ თვარტოქიას სასწავლო უნივერსიტეტთან ითავა და, შესაბამისად, პრაზიკა უნივერსიტეტის უნივერსიტეტში გაიბარდა.

გვ. 12 გვერდზე

სტუდენტებმა უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მოსალოდნელი შეუფერებელი საქმიანობის წარმართვა გააპროტესტეს

„თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ საგანგებო ბრიფინგი



თავისუფალ სტუდენტთა კავშირმა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნივერსიტეტის ფაქტობრივ მფლობელთაგან არსებული მიწის ნაკვეთის გასწვრივ სანთარესო დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართეს. სტუდენტებმა თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ვიდეოთვით მონიჯნაწავი არსებული მიწის ნაკვეთის გასწვრივ გააპროტესტეს.

გვ. 4 გვერდზე

შეშორება უნივერსიტეტისკენ

გიორგი მარგველაშვილი: უნივერსიტეტიდან ავიღებ იმის ქალას, რომ საზოგადოებას ვემსახურე

თსუ 96 წლისაა

პირველი გვერდიდან

მაია ტორაძე

სტუმრებმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად, გახსნეს უნივერსიტეტის დამფუძნებლის — ივანე ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის პირველი რექტორის — პეტრე მელიქიშვილის ბიუსტები, რომლებიც ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერაა შესრულებული. ბიუსტები, რომლის განადგურებაც საზოგადოებაში მოარული ხმები დადიოდა, ახალი რექტორის ინიციატივით, გაახლდა და თავის ადგილს დაუბრუნდა. სამწუხაროდ, საზოგადოება ხშირად უარყოფითი ინფორმაციის ტირაჟირებას ეწევა და დადებით მოვლენას სათანადოდ ვერ აფასებს ხოლმე. უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში თსუ-ის დამაარსებელთა ბიუსტების გამოჩენას, იმედია, შესაბამისი რეაქციები მოჰყვება და ხალხში მითქმა-მოთქმას ნერტილი დაესმება. ამ მხრივ ცნობისმოყვარეებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის გამოსვლაც დაეხმარა, რომელმაც სტუმრებს შეახსენა, რომ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ვესტიბიულში გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და უნივერსიტეტის დამაარსებელთა ბიუსტების დადგმის იდეა გასული საუკუნის 40-იან წლებში გაჩნდა და დაიდგა კიდეც, თუმცა, სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყების გამო, ისინი აიღეს და მხოლოდ ახლა, უნივერსიტეტის რექტორის ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, დაუბრუნდნენ იმ ადგილს, სადაც ათეულობით წლების განმავლობაში იდგნენ.

„თუ გავიხსენებთ იმას, რომ მსოფლიოში არსებობს უნივერსიტეტები, რომლებიც საუკუნეებს ითვლის, შეიძლება გავიჩინდეს კითხვა — რა არის უნივერსიტეტისთვის 96 წელი? მაგრამ, ამავე დროს, არ მეგულება მსოფლიოში უნივერსიტეტი, რომელსაც ისეთივე დიდი როლი ეთამაშოს ქვეყნის ისტორიაში, როგორც ჩვენმა უნივერსიტეტმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში იყო რომანტიზმის მწვერვალეებიც და სისხლის წვიმებიც, მაგრამ მან გაუძლო დროთა დინებას და დღესაც ინარჩუნებს პირველობას. ამაში კი იმ ადამიანების დიდი ღვაწლია, რომლებმაც დააფუძნეს იგი. დღეს აქ დაბრუნდა ორი დიდი მოღვაწის ბიუსტი, რომლებიც ქართული ქანდაკების სკოლის ფუძემდებელმა იაკობ ნიკოლაძემ შექმნა. რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ჩატარდა დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები. უნდა ვაღიაროთ, რომ თავის დროზე სათანადო მადლიერება ვერ გამოვხატეთ ქველმოქმედის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომლის დახმარებითაც დღეს ეს გაცისკროვნებული შენობა გვაქვს. სწორედ მაშინ აიღეს ბიუსტები და დღეს, ბატონი ლადო პაპავას ინიციატივით, ჯერჯერობით ორი მათგანის რეკონსტრუირებული ბიუსტი ისევ დაიდგა უნივერსიტეტის ფოიეში. აქვე გავიხსენებ, რომ ბატონი ივანე ჯავახიშვილის ბიუსტი იაკობ ნიკოლაძემ მის სიცოცხლეში ვერ გამოაქანდაცა და იგი ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნიღბის მიხედვით შექმნა, ხოლო პეტრე მელიქიშვილის ბიუსტი



საქართველოს პრეზიდენტი თსუ-ის რექტორმა უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა

შექმნილია ნატურიდან. მინდა, ამ ინიციატივისთვის მადლობა გადავუხადო ბატონ ლადოს და იმედი გამოვთქვა, რომ მის მიერ დაწყებული ტენდენცია გამოჩენილ ქართველთა ხსოვნისათვის პატივის მიცემისა, კვლავაც გაგრძელდება“, — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა მისასალმებელი სიტყვის დასასრულს.

სტუმრებმა დაათვალიერეს პირველი კორპუსის ფოიეში გამართული გამოფენა — „უნივერსიტეტის პირველი სტუდენტები“, რომელზეც თავმოყრილია და პირველად გამოიფინა იმ სტუდენტთა ფოტოები, რომლებმაც ახლად დაარსებული უნივერსიტეტის კარი 1918 წელს შეაღეს. მათ შორის იყო მარო მაყაშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, სერგეი მაკალათიას, ვერა ბარდაველიძის, არნოლდ ჩიქობავას, სიმონ ჯანაშიას, ვარლამ თოფურიას, გიორგი ახვლედიანის, კოტე ბაქრაძის, მოსე შანიძის და სხვათა ფოტოები.

უნივერსიტეტის მუზეუმის ხელმძღვანელმა მაია გურაბანიძემ გამოფენის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს არის მხოლოდ პატარა ექსპოზიცია იმ დიდი მასალისა, რასაც ამ წლების შესახებ მუზეუმი ფლობს. „თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ამ ადამიანების უმეტესობა, რომლებიც უნივერსიტეტში მისი გახსნის წელს ჩაირიცხნენ, დიდი მეცნიერები და სამეცნიერო დარგის ფუძემდებლებიც კი გახდნენ და უნივერსიტეტში განაგრძეს მოღვაწეობა. ამ თაობას მოუწია დამოუკიდებელ საქართველოში სწავლა და დამფუძნებლებთან ერთად იღვწოდნენ იმ ღირებულებების დამკვიდრებისთვის, რაც უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა შემოიტანეს საქართველოში“, — აღნიშნა მაია გურაბანიძემ და აქვე გაახმოვანა ინიციატივა — აღდგეს კიბა აბაშიძის სახელობის სტიპენ-

დია, რადგან პირველი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ კიბა აბაშიძის სახელობის იყო და მის დასაწესებლად მარიამ ჯაბაყურ-ორბელიანი უნივერსიტეტს 4000 მანეთი შესწირა.

უნივერსიტეტის დაარსების 96-ე წლისათვის მიეძღვნა ასევე თსუ-ის ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი გამოცემების გამოფენაც. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ძველი ქართული, ევროპული, რუსული, სომხური, სპარსული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები.

უნივერსიტეტის დაარსებიდან 96 წლისათვის აღსანიშნავად სტუმრები საიუბილეო სხდომაზე დასასწრებად სააქტო დარბაზის ფოიეში შეიკრიბნენ. სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც აღნიშნა: „საქართველოს ისტორიაში ჩვენ გვყავდა არაერთი გამორჩეული მეფე, მაგრამ ის ნარმატებები, ის აღორძინება და აყვავება, რაც დაკავშირებულია წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასთან, საქართველოს აღარ უნახავს. ეს არის განსაკუთრებული მოვლენა საქართველოს ისტორიაში და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა სწორედ ეს დღე — 8 თებერვალი აირჩიეს უნივერსიტეტის დაარსებისთვის, რაც სიმბოლურია. სწორედ უნივერსიტეტი უნდა განასახიერებდეს საქართველოს მომავალს, მის წინსვლას, რადგან აქ ხდება ჩვენი თაობის აღზრდა, რომელმაც ხვალ უნდა ჩაიბაროს ქვეყნის სადავეები. ჩვენთვის, უნივერსიტეტისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ხარისხობრივად გაუმჯობესდეს სწავლის დონე, გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. ჩვენ ამ მიმართულებით ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. საუნივერსიტეტო საქმიანობა, მთლიანად ქართული საზოგადოება და ჩვენი სტუდენტობა არის

ერთიან საქმეში ჩართული და ღრმად ვარდარწმუნებული, რომ წარმატება იქნება. ყველა უნივერსიტეტელს ვულოცავ უნივერსიტეტის დაბადების დღეს“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

უნივერსიტეტის, როგორც ქართველი ერის მამოძრავებელი ძალის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა: „მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე და ხაზი გაუსვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქვეყნისა და ერის განვითარებაში. უნივერსიტეტმა, გარდა იმისა, რომ არის კერა მეცნიერებისა და ადგილი ახალგაზრდობის მორალური და მენტალური ჩამოყალიბებისა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის იდენტობის დადგენის პროცესში, როცა ეს ყველაზე საჭირო და ყველაზე აქტუალური იყო. უნივერსიტეტი მაშინ დაარსდა, როდესაც პირველი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. როცა ჩვენი ისტორიული და პოლიტიკური მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შევქმნათ ქართული სახელმწიფო, ადგილი და სამკვიდრო ჩვენი მოქალაქეებისა, ჩვენ მუდმივად ვუბრუნდებით იმ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციებს, ადამიანებსა და მოვლენებს, რომლის მიხედვითაც უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის შენება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც სხვა ქვეყნის, სხვა კულტურების, სხვა იმპერიების ბატონობიდან გამოსვლისას მივბრუნდებით ხოლმე საკუთარ თავთან და ვეძიებდით იმას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ახალი ქვეყანა. დღეს, ჩვენ, გარკვეულწილად, ამ ისტორიულ ეტაპზე ვდგავართ და გვეძლევა შესაძლებლობა — მას შემდეგ, რაც 200 წლის განმავლობაში, სახელმწიფოებრივ კონტექსტში, ჩვენი იდენტობის დადგენის საშუალება არ გვეძლეოდა, შევქმნათ ქვეყანა. უნივერსიტეტის როლი ამ ეტაპზეც შეუცვლელია. ჩემთვის უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების კერა. ეს არის ის ცენტრი, რომლის ირგვლივაც შენდება დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ქართული სახელმწიფო. ამდენად, როგორც სახელმწიფოს მეთაური, როდესაც ვიფიქრებ, როგორ განვითარდეს ჩვენი ქვეყანა, მუდმივად დაუბრუნდები უნივერსიტეტს და აქედან ავიღებ იმის ძალას, რომ საზოგადოებას ვემსახურო“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ უნივერსიტეტის იუბილე მიულოცა ყველა უნივერსიტეტელს და განაცხადა, რომ არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის არა მხოლოდ პირველი ქართულენოვანი უნივერსიტეტი ამ რეგიონში, არამედ პირველი არარუსულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი მაშინდელ იმპერიაში: „ივანე ჯავახიშვილმა, უნივერსიტეტის დამაარსებელმა თბილისის უნივერსიტეტი გახსნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ამით ივანე ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ახლად დაარსებული უნივერსიტეტი არის მემკვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის

80-16 გვირგვინი



თსუ-სთვის შეუფარებელი საქმიანობის შესაძლო განხორციელებას რეპტორი განცხადებით ეხმაურება

ბოლო პერიოდში, სამწუხაროდ, არაერთხელ მომინია ერთსა და იმავე პრობლემურ თემაზე განცხადების გაკეთება. საკითხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების გასხვისებას უკავშირდება. პირველი მიმართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქონების გასხვისებას ეხებოდა, ამჯერად კი, უნივერსიტეტის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებაზეა საუბარი. გაირკვა, რომ 62 115 კვ.მ ფართის მქონე მიწის ნაკვეთს

(საკადასტრო კოდი 01.14.06.006.021) უკვე ჰყავს ახალი მესაკუთრე შპს „ნგა“-ს სახით. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიმართა დედაქალაქის მერიას მისი კომპეტენციის ფარგლებში გაეთვალისწინებინა უნივერსიტეტის ინტერესები, რათა გასხვისებულ ქონებაზე არ მომხდარიყო უნივერსიტეტისა და მისი პროფილისათვის შეუფერებელი (მაგალითად, სასაფლაოს) ობიექტის არსებობა ან საქმიანობა. ჩვენ მივიღეთ პასუხი, სადაც პირდაპირ არის მინიშნებული, რომ მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ გაასხვისა 2013 წლის 16 ოქტომბერს ჩატარებული აუქციონის მეშვეობით, ხოლო

აუქციონის პირობებით არაა გათვალისწინებული რაიმე სახის შეზღუდვა და გამარჯვებულ კომპანიას შეუძლია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე 2009 წელს თბილისის მერიამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ქალაქის გამწვანების ახალი პროექტი წამოიწყო. პროექტი დედაქალაქისა და მისი შემოგარენის გამწვანებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. გამწვანების აქციას, რომელსაც 1000-მდე სტუდენტი გამოეხმაურა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მაშინდელი მინისტრი, თბილისის მერი და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ესწრებოდნენ. ამ ტერიტორიაზე სტუდენტების მონაწილეობით 500 ძირი კვიპაროსის, ფიჭვის, ნეკერჩხლისა და ცაცხვის ნერგები დაირგო. სამწუხაროდ, დღეს შესაძლოა დადგეს ამ ნარგავების განადგურების საკითხი.



თხოვნით მივმართეთ ქ. თბილისის საკრებულოს და ქ. თბილისის მთავრობას, რომ მაქსიმალურად გამოეყენონ მათ ხელთ არსებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებით გათვალისწინებული ფაქტების დადგომა.

ვლადიმერ ვაჰაშაძე
თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი
24.01.2014



სტუდენტებმა უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მოსალოდნელი შეუფარებელი საქმიანობის წარმართვა გააპროტესტეს

„თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ სახანაბო ბრიფინგი



თავისუფალ სტუდენტთა კავშირმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნივერსიტეტის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართეს. სტუდენტებმა თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისება გააპროტესტეს.

„თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მეტრეველის თქმით, ინვესტორი კომპანია გასხვისებულ ტერიტორიაზე უნივერსიტეტის პროფილისთვის შეუფერებელ საქმიანობას აპირებს. როგორც მეტრეველისთვის არის ცნობილი, ამ ტერიტორიაზე სასაფლაოს

მონობა იგეგმება, ინვესტორი კომპანია კი სტუდენტებისთვის უცნობია.

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ 24 იანვარს, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ ვაჰაშაძემ თბილისის მერიასა და საკრებულოს მიმართა, ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე არ განხორციელდეს უნივერსიტეტისათვის შეუფერებელი საქმიანობა. ამასთან, სტუდენტების თქმით, დედაქალაქისა და მისი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნივერსიტეტის ათასამდე სტუდენტმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით 500 ძირი ნერგი დაირგო, თბილისის მერიის ამ გადაწყვეტილებით კი ნარგავები განადგურდება.

ხოვთ თბილისის მერიისგან, საკრებულოსგან და ინვესტორი კომპანიისგან — გაითვალისწინონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სტუდენტების ინტერესი და არავითარ შემთხვევაში არ განხორციელდეს უნივერსიტეტისა და დედაქალაქისათვის მიუღებელი საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად მივმართოთ პროტესტის ყველა მწვავე ფორმას, — განაცხადა „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მეტრეველი. მისივე თქმით, საუბარია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებულ 62 ათას კვადრატულ მეტრ მიწის ფართობზე.

სიანსლე

დეკანის მოვალეობის ახალი შემსრულებელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში დეკანის მოვალეობის შემსრულებელი მეოთხედ ჰყავს.

მას შემდეგ, რაც 2012 წელს ფაკულტეტზე დეკანის არჩევნები გაიმართა და შედეგები ერთერთმა კანდიდატმა — პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ გაასაჩივრა, საქმე არ დახურულა. ამდენად, დეკანის მოვალეობის შესრულება რიგ-რიგობით მოუწიათ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს. ეს მოვალეობა უკვე შეასრულეს ასოცირებულმა პროფესორებმა სერგი კაპანაძემ და ნანა მაჭარაშვილმა. ფაკულტეტის საბჭოს 21 იანვარს გამართულ სხდომაზე კი საბჭოს წევრებმა, ქალბატონი ნანი მაჭარაშვილის წარდგინებით, მხარი აძვე ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს თამარ მახარაძეს დაუჭირეს.

ქალბატონი თამარი სპეციალობით ფსიქოლოგია, თუმცა მას შემდეგ, რაც 2006-2008 წლებში ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად იმუშავა სოციალური მუშაობის ახალი კურსების შემუშავებასა და განვითარებაზე, ამ მიმართულებაში გადაინაცვლა.

აპირებს თუ არა ფაკულტეტზე სიახლეების დანერგვას, რა კონკრეტულ საკითხებს დაუთმობს ყურადღებას და როგორ შეეცდება სტუდენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას? ამ საკითხებზე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი თამარ მახარაძე გვესაუბრება.



— კონკრეტულად რას მიიჩნევთ კარგ ინიციატივად?
— კარგი ინიციატივა არის, მაგალითად, ის, რომ ჩვენი ფაკულტეტის ბიუჯეტში გაჩნდა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისთვის აუცილებელი სასწავლო მასალის თარგმანს, რაც ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, მოვემსახუროთ სტუდენტებს და ვთარგმნოთ

ლიტერატურა. ეს პროექტი უკვე ამუშავებულია და პედაგოგები ამ პროცესში ჩაერთნენ.

ასევე ძალიან კარგია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში უკვე დევს მუხლი კვლევითი კომპონენტის დაფინანსებისთვის, რაც ასევე ამოქმედდება. პროექტი ძირითადად ითვალისწინებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევებში ჩართვას. ვეცდები, რომ მასში ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა სტუდენტებმა და პედაგოგებმა.

ასევე განვადრძობ იმ კურსს, რომელიც ჰქონდა დეკანის მოვალეობის ჩემს წინა შემსრულებელს. ესაა ახლო და რეგულარული კონტაქტი სტუდენტებთან, რადგან სწორედ მათთან ხშირი კომუნიკაციის დროს დაიბადა ეს ინიციატივები და, ფიქრობ, შედეგიც არის. ასევე ვეცდები, შევინარჩუნო გამჭვირვალობის კურსი, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობა მაქსიმალურად ღია იყოს როგორც პროფესორებისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის.

ვეცდები მხარი დაუჭიროო ახალ ინიციატივებს. ბიუჯეტი, წინა წლისგან განსხვავებით, გაზრდილია და, ფიქრობ, მოგვეცემა ფაკულტეტის გამართულად მუშაობის შესაძლებლობა.

— ამ პოზიციაზე დროებით მოვედი. არ მაქვს შორს მიმავალი გეგმები და არ ვაპირებ, მონაწილეობა მივიღო დეკანის არჩევნებში, რადგან ჩემი პრიორიტეტი აკადემიური საქმიანობაა. ამიტომ, მხოლოდ ის მინდა, რომ პერიოდი, რომელშიც დეკანის მოვალეობას შევასრულებ, ღირსეულად გავიარო და სასწავლო პროცესი ყოველგვარი შეფერხებების

გარეშე, გამართულად წარიმართოს. ჩემი ძირითადი მიზანია, ყველა ის კარგი ინიციატივა, რომელიც ბატონი სერგი კაპანაძის და ქალბატონი ნანი მაჭარაშვილის მიერ იყო დაწყებული, ბოლომდე მივიყვანო და ფაკულტეტმა იმავე კურსით განაგრძოს მუშაობა, რა კურსითაც იგი ჩემს წინამორბედებს მიჰყავდათ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნამოჭრილი პრობლემები და რეპტორის პოზიცია

უნივერსიტეტის რექტორის შეხვედრები პროფესორ-მასწავლებლებთან გრძელდება. ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ — მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები უშუალოდ თსუ-ის რექტორისგან, აკადემიკოს ლადო პაპავასგან მოესმინათ.

შეხვედრა, ჩვეულებრივ, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, თუმცა მანამდე ბატონმა რექტორმა დარბაზს მიმართა, იმ საკითხებზე გამოეთქვათ მოსაზრებები, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მათ შორის იყო ფაკულტეტების დაყოფის და სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხიც. „ჩვენთვის მთავარი არის არა რეორგანიზაცია, რომელსაც მერე შეიძლება რეფორმა და-ვარქვას, ან რეფორმა რეფორმისთვის, არამედ ის, რომ ნებისმიერი ნაბიჯი მიმართული იყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სამეცნიერო აქტიურობის გაზრდისკენ. ამ თვალსაზრისით თქვენი მრავალპროფილიანი ფაკულტეტის მომავალი მოითხოვს წინასწარ განჭვრეტას — როგორ წარმოვიდგინოთ მისი განვითარება — სჯობს დარჩეს ეს სტრუქტურა ისე, როგორც არის, თუ უნდა ვიფიქროთ სხვა კონფიგურაციაზე. სწორედ ამიტომ ვთხოვე ჩვენს გაზეთს — „თბილისის უნივერსიტეტი“, რომლის მუშაობითაც კმაყოფილი ვარ, რომ მის ფურცლებზე გაშუქდეს ჩვენი პროფესორების ხედვა — როგორ უნდა მოხდეს ფაკულტეტების და როგორ უნდა იყოს მათი მომავალი. ამ ბოლო პერიოდში თქვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მოსაზრებებიც დაიბეჭდა, თუმცა სხვა ფაკულტეტის პროფესორთა მოსაზრებებისგან განსხვავებით, შედარებით მწირად. ამიტომ გთხოვთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ გაზეთის ფურცლები — ვფიქრობ, ეს საკმაოდ კარგი ფორმატია ასეთი მოსაზრებების განხილვისთვის“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.



ინფრასტრუქტურის საკითხები

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უნივერსიტეტის სხვადასხვა სასწავლო კორპუსში არსებულ პრობლემებს, კერძოდ, ცუდ აკუსტიკურ გარემოს დიდ აუდიტორიებში, ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობას, სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას და კომპიუტერული ტექნიკის დეფიციტს.

„სამი განცხადება დავწერე, რომ ჩვენი კაბინეტისთვის ერთი კომპიუტერი გამოეყოს. მიუხედავად იმისა, რომ რექტორმა თხოვნა დააკმაყოფილა, კომპიუტერი დღემდე არ მივიღია“, — აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა მაია ჯავახიძემ.

მანვე განაცხადა, რომ V კორპუსში, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დიდი ნაწილია განთავსებული, სტუდენტებს არ აქვთ სასადილო, კეთილმოწყობილია შიდა ეზო.

განსაკუთრებით გამოიკვეთა უნივერსიტეტში წიგნის მალაზიის გახსნის აუცილებლობა.

რექტორის გამოსვლაში აღნიშნულ საკითხებს დანერგვით გაცემა პასუხი და ითქვა, რომ ყველა ეს პრობლემა გადაჯაჭვულია ფინანსებთან და იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებთან, რის ფარგლებშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უხდება მუშაობა.

„ამ მიმართულებით დასმული ყველა საკითხი პროზაულია და ასევე პროზაულია პასუხი — ფინანსები, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს ყველაფერს. ჩვენი უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტია, მაგრამ პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება არ გვაქვს. მისი დავინანსება მიზნულია სტუდენტების გადასახადზე — მათ მიერ ან გრანტებიდან, ან ოჯახიდან მოტანილ ფულზე.“

კიდევ ერთი კომპონენტი ჩვენი თანხებისა, იყო სამეცნიერო გრანტები, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი აშკარად ლიდერი უნივერსიტეტია საქართველოში (თვითკრიტიკა ძალიან კარგია, მაგრამ ის თვითგვემას არ უნდა დავმსგავსოს. არც ისე ცუდები ვართ, როგორც ამას წარმოაჩენენ ხოლმე), მაგრამ ამ გრანტებს თავისი შემსრულებლები ჰყავს. ამიტომ ეს თანხა ბიუჯეტში კი აისახება, მაგრამ ისიც არაა ოპერატიული და მთავარი — ერთადერთი ოპერატიული თანხა გახლავთ სტუდენტის გადასახადი — 2 250 ლარი, რომელიც სიმწირით მოგვდის — თითქმის ყველა იმ წერილში, რომელიც სტუდენტიდან რექტორის სახელზე შემოდის, საუბარია — გადასახადების გადავადებისა და დახმარების თაობაზე. დახმარების სამართლებრივი ფორმა უნივერსიტეტს არ აქვს, თუმცა გადავადება შეგვიძლია და ამას ვაკეთებთ კიდევ.“

თქვენ იცით, რომ ჩვენ წამოვიწყეთ ადმინისტრაციული და აკადემიური რეფორმა, მონვეული გვყავდა ექსპერტები სხვადასხვა საკითხებში, მათ შორის, კემბრიჯის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელმაც დაამდინა კონსტრუქციული წინადადება დააყენა. პირველი, რითაც მან ჩემთან საუბარი დაიწყო, იყო განცხადება — თქვენს უნივერსიტეტს განვითარების საფუძველი არ გააჩნია, რადგან მხოლოდ სტუდენტების მოტანილი ფულით არსებობთ. თქვენ უნდა გქონდეთ სტაბილური განვითარების წყარო და თქვენნაირი ტიპის ქვეყანაში ეს წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოდან

მიღებული თანხა. ეს ის პრობლემაა, რომელიც ჩვენმა უცხოელმა ექსპერტმა დააფიქსირა. ამდენად, თუ მთავრობაში არ ჩამოყალიბდა უნივერსიტეტების მიმართ პოლიტიკური ხედვა, რომ ჩვენ განვითარების საფუძველი გვჭირდება, არავინ მოგვცემს ფულს და ძალიან გაგვიჭირდება“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

ითქვა იმის თაობაზეც, რომ სასწავლო კორპუსების სარემონტო სამუშაოები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის უდავოდ პრიორიტული საკითხია, მაგრამ ახერხებენ მხოლოდ იმას, რის საშუალებასაც მწირი ბიუჯეტი იძლევა. რაც შეეხება II კორპუსს — მისი რემონტისთვის გრანდიოზული ინვესტირებაა საჭირო და ამ საკითხზე მოლაპარაკებები ისევე „ქართულ“ ჯგუფთან მიმდინარეობს.

V კორპუსის შიდა ეზოს კეთილმოწყობის შესახებ რექტორმა თანხმობა განაცხადა. ასევე ითქვა, რომ გამოიძენება ფართი სტუდენტების სასადილო მოწყობისათვის, რაც VIII და V კორპუსის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ფაკულტეტის დაყოფის პერსპექტივა

ფაკულტეტების დაყოფის საკითხმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აზრი სხვადასხვავა გამოიწვია. ნაწილი მიიჩნევს, რომ ფაკულტეტის შემადგენლობიდან უნდა გამოიყოს ის მიმართულებები, რომლებიც ტრადიციულად ცალკე არსებობდნენ, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ფაკულტეტის დაყოფა უნივერსიტეტს ბოლონის პროცესს ჩამოაშორებს და დამატებითი ფინანსური ხარჯების საჭიროებას შექმნის.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორმა კახაბერ ლორიაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დაშლამ, შესაძლოა, მთლიანად დაანგრის სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში, რადგან რეორგანიზაცია შეეხება არა მხოლოდ სტრუქტურას, არამედ სასწავლო პროგრამებსაც: „სასწავლო პროგრამები ინტეგრირებულია, მათ გაიარეს აკრედიტაცია და რამდენიმე წლით მოიპოვეს ფუნქციონირების უფლება. ნოსტალგიური განწყობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დაყოფა არ შეიძლება. მეც მენატრება ის დრო, როცა ფილოლოგიის ფაკულტეტი ცალკე იყო, მაგრამ მოგონივრებით მაქსიმალური სიფრთხილისაქენ. გასათვალისწინებელია, რომ ფაკულტეტის დაყოფის შემდეგ კიდევ უფრო მოიმატებს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და მათი ხელფასების ხარჯი. დაფიქრდეთ ამასზე“, — განაცხადა კახაბერ ლორიაძემ.

ფაკულტეტების დაყოფის შემთხვევაში სასწავლო პროგრამების ბოლონის პროცესთან შესაბამისობაზე ისაუბრა პროფესორმა ლალი ქეცბა-ხუნდაძემ. „საკითხი დგას ასე — ვრჩებით ბოლონის პროცესში ჩართული თუ გამოვდევართ ამ პროცესიდან? მიმართა, რომ თუ ბოლონის პროცესში ვრჩებით, ეს ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ“, — განაცხადა ლალი ქეცბა-ხუნდაძემ. მანვე დასვა საკითხი სემინარულ მეცადინეობებზე სტუდენტთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობის შესახებ.

ფაკულტეტების დაყოფის იდეას არ დაეთანხმა პროფესორი გოჩა ჯაფარიძეც. მისი თქმით, ეს გამოიწვევს იმაზე არანაკლებ მტკივნეული პროცესების განვითარებას, რაც თავის დროზე ფაკულტე-

ტების შერთებამ გამოიწვია. „ეს საკითხი ფაქტობრივად მოითხოვს. ვერ დავანგრეთ და ახლა ხელახლა უნდა დაფიქრდეთ ამას? რეფორმამ მაშინ ბევრი ადამიანის სიცოცხლეც კი შეინარა... ძლივს დამთავრდა ეს პროცესი, ჩამოყალიბდა საბოლოო სტრუქტურა და ახლა რომ ისევ ფაკულტეტის დამლაგვინებით, ეს იქნება არანაკლებ მტკივნეული პროცესი, ვიდრე გაერთიანება იყო. ამას გარდა, დადგება ფინანსური საკითხი — ერთი დეკანი მაგიერ გვეყოლება რამდენიმე დეკანი. მათ ეყოლებათ კიდევ თავისი შტაბები და მერე იმაზე დაიწყება წუწუნი, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო. ჩემი აზრით, შეიძლება მივიღოთ კატასტროფამდე...“ — განაცხადა გოჩა ჯაფარიძემ და აქვე აღნიშნა, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა ფაკულტეტებზე მიმართულებების მიეცემა მეტი ავტონომია, რაც, მისი აზრით, სრულიად შესაძლებელია. მანვე დასვა საკითხი უნივერსიტეტის გამომცემლობის სრული შესაძლებლობით ამოქმედების შესახებ, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომები და სახელმძღვანელოები რაც შეიძლება სწრაფი ტემპით დაიბეჭდოს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტთა მეტად ჩართულობის აუცილებლობისა და პროფესორთათვის სხვა უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვის უფლების მინიჭების შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ფაკულტეტების დაყოფის შესახებ მოსაზრებების საპასუხოდ განაცხადა, რომ მას წინასწარჩვენო კონცეფციაში შეტანილი ჰქონდა პუნქტი, რომ, ამგვარი რეფორმის გატარების აუცილებლობის შემთხვევაში, გონივრულ რაოდენობამდე გაეზარდა ფაკულტეტების რიცხვი, მაგრამ მას შემდეგ, რაც პროფესორ-მასწავლებლების მოსაზრებებს გაეცნო, კიდევ უფრო განუმტკიცდა აზრი, რომ, მთავარია, ყველა ცვლილება სასწავლო პროცესის უკეთეს ორგანიზების მიზნით მოხდეს. „ამ მიმართულებით არცერთი ნაბიჯი არ გადაიდგმება პროფესორების გარეშე. უმრავლესობის პოზიციას იმეძვება შემდგომი ნაბიჯებიც. ამ ეტაპზე არც საუნივერსიტეტო საზოგადოება და არც ჩვენ — ადმინისტრაცია, ამ რეფორმისთვის მზად ვართ“, — განაცხადა მან.

რექტორის გამოსვლაში ასევე პასუხი გაცემა რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას. კონკრეტულად, მან ისაუბრა სასწავლო ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადაყვანის პრობლემის შესახებ. კერძოდ, როგორც ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, ამისთვის საჭიროა უნივერსიტეტმა შეიძინოს რობოტოკანერი, რისთვისაც მიმდინარე წლის ბიუჯეტში უკვე გამოყოფილია თანხა და უახლოეს მომავალში ეს საკითხი მოგვარდება.

რექტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროფესორთა მიერ დასმულ საკითხს — რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამის ფორმალური მექანიზმი არის ფაკულტეტის საბჭოები და წარმომადგენლობითი საბჭო, თუმცა სტუდენტები, რომლებიც არჩეულნი არიან ამ საბჭოებში, არ აქტიურობენ. „როგორც ფაკულტეტების დეკანები ამბობენ, ამ საბჭოებზე კვორუმის შეკრებაც პრობლემაა. ამდენად, გთავაზობთ — ასეთ ორგანოებში ავირჩიოთ ის ადამიანები, ვისაც მართლა სურს მიიღოს მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში და გადაწყვეტილების მიღების პრო-

ცესში“, — განაცხადა მან.

აქვე აღნიშნა, რომ მუშაობის სხვა ფორმატზე გადავა უნივერსიტეტის გამომცემლობაც. „ჩვენ განვახლებთ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო და განვსაზღვრეთ, რა წიგნები უნდა გამოიცეს. სანამ ფინანსური პრობლემა გვაქვს, გთავაზობთ, სახელმძღვანელოები ელექტრონულად გამოვცეთ. ეს არ ნიშნავს, რომ უარს ვიტყვით მონოგრაფიების გამოცემაზე“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

პროფესორთა ანაზღაურების საკითხი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა გამოსვლაში დაისვა საკითხი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების წაკითხვის აუცილებლობის შესახებ. ითქვა, რომ ზოგჯერ პროფესორები უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან, რადგანაც სხვა უნივერსიტეტებიდან აქვთ მიწვევა და მას ვერ თანხმდებიან.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თამარ პაიჭაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მონვევებზე დათანხმება, იმის გამოც არის აუცილებელი, რომ ამ საგნების ნამკითხველი კადრი არ ჰყავთ. „ჩვენ მათ უარს ვუხვებით საჯარო ლექციებზეც კი, რადგან არ გვაქვს უფლება, რომ ნაწილობრივ ლექცია თუნდაც საათობრივი ფორმით. იქნებ ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად რამე ცვლილება მოხდეს დებულებაში?“, — განაცხადა მან.

პროფესორმა ზაზა სხირტლაძემ აღნიშნა, რომ კონკურსები უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობის კი არა, იმის მიხედვით უნდა გაიმართოს, რა საგნებიც ისწავლება. „უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის არჩევნები აქამდე ტრადიციულად პრინციპით — ყველა უნდა ნასულიყო და ყველა უნდა მოსულიყო. ჩემი აზრით, ეს უნდა მოხდეს თანდათანობით პრინციპით და რაც მთავარია — უნდა აირჩეს არა ზოგადად სრული ან ასოცირებული პროფესორი, არამედ პროფესორი რომელიმე კონკრეტული მიმართულებით. ჩვენთან დამკვედრებული წესებით კი, ისე ხდება, რომ კონკურსის შედეგად ფაკულტეტზე თავს იყრის ერთი და იგივე ვინც სპეციალობის პროფესორები და რჩება საგნები, რომლის წამკითხველი არავინ არის. ასევე უნდა დაისვას საკითხი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თაობაზეც. არსებობს ამ საბჭოების მუშაობის სხვადასხვა პრინციპი. პირადად მგონია, რომ 12 კაცის ნაცვლად, ეს საბჭო უფრო წარმომადგენლობითი უნდა იყოს“, — განაცხადა მან.

ასოცირებულმა პროფესორმა ელენე მექმარაშვილმა თავის გამოსვლაში წამოაყენა წინადადება — დატვირთვაში აისახოს სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. „თქვენ იცით, რამხელა დროს მოითხოვს ეს ყველაფერი და ანაზღაურებაზე ეს უნდა აისახოს. ასევე გასათვალისწინებელია შუალედური და სხვადასხვა გამოცდის შედეგების შემოწმება. 5 ადამიანის და 100 ადამიანის ნაშრომის გასწორება ერთნაირად არ უნდა ფასდებოდეს. ჩვენ კვირაობით ვსხდევართ და ვასწორებთ ამ ნაშრომებს“, — განაცხადა მან.

უნივერსიტეტის რექტორმა თითოეულ ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი გაცადა.



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნამოჭრილი პრობლემები და რექტორის პოზიცია

მესამე გვერდიდან

კერძოდ, აღნიშნა, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტში ლექციების ნაკითხვაში წინააღმდეგობას ვერ ხედავს, თუმცა უნივერსიტეტში არიან პროფესორები, რომლებსაც ეს საკითხი სხვაგვარად ესმით. „ეს საკითხი ერთად უნდა გადავწყვიტოთ. მივიღოთ ერთი საუნივერსიტეტო რეგულაცია და თუ ჩავთვლით, რომ შეთავსება შეუძლებელია, რატომაც არა, თუმცა ამას რაციონალური საფუძველი უნდა ჰქონდეს“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

მანვე აკადემიურ არჩევნებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ, უკვე არჩეულ პროფესორ-მასწავლებლებთან დაკავშირებით, არანაირი ცვლილება არ იგეგმება. ახალი არჩევნები ჩატარდება მხოლოდ მაშინ, როცა თითოეულ აკადემიურ პერსონალს საარჩევნო ვადა გაუვა. „ამ საკითხში ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა ახალ დანაშაულს წარმოშობს. ერთ დანაშაულს მეორე დანაშაულით ვერ გამოასწორებ. ამიტომ, გვინდა-არგვინდა, მოგვინევს დროული არჩევნების ჩატარება“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

რაც შეეხება აკადემიური საბჭოს შემადგენლობას, აღნიშნა, რომ ეს კანონი უნდა დაარეგულიროს, თუმცა ჯერ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი მხოლოდ განხილვის პროცესშია. აკადემიური საბჭოს ვადა განისაზღვრება 2014 წლის ოქტომ-



ბრამდე. თუ კანონმა რაიმე სხვა მოდელი არ შემოგვთავაზა, სავარაუდოდ, აკადემიური საბჭოს არჩევნები 2014 წლის შემოდგომაზე გაიმართება. რაც შეეხება ასეთი სახის საბჭოებში სტუდენტების მეთად ჩართულობას, ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ აქ ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო. „არ მინდა იყოს ისეთი საბჭო, სადაც აკადემიური საკითხების (პროგრამებისა და სილაბუსების) განხილვაში სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. ნუ მივცემთ მათ იმხელა ტვირთს, რომლის სატარებლადაც ჯერ მზად არ არიან. თუ კანონით დადგინდება, რომ უნივერსიტეტში ერთი საბჭო უნდა იყოს, იქ

აუცილებლად იქნებიან სტუდენტებიც, მაგრამ ალბათ მაშინ უნდა გაიმიჯნოს, რომელი საკითხის განხილვაში მიიღებენ ისინი მონაწილეობას და რომელი — არა“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

რექტორის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროფესორთა ანაზღაურებისა და აუდიტორიებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირების საკითხებს, რომლის შესახებაც განაცხადა, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ვიცე-რექტორი მარინე ჩიტაშვილი. ჯგუფის ამოცანაა, რომ ყველა კრიტერიუმი კონკრეტულად განეროს.

ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ყველა ფაკულტეტის დეკანი. „ახლაზან ვთხოვე დეკანებს, რომ საზოგადოებას გააცნონ ის საკითხები, რაზეც ჯგუფი მუშაობს, რადგან ვხედავ, რომ პროფესორ-მასწავლებლები ამის შესახებ ინფორმირებული არ არიან. ჩვენ გვყავს 2 ტიპის პროფესორი (ასეა მთელ მსოფლიოში) — პროფესორი, რომელიც მეცნიერია და პროფესორი, რომელიც პროფესორია და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და სამეცნიერო თვალსაზრისით შესანიშნავ ლექციებს კითხულობს. ერთი სჭირდება უნივერსიტეტს და მეორეც. მაგრამ უნდა შეშუშავდეს მოქნილი სისტემა — იმ პროფესორს, რომელიც შემოქმედია და შეუძლია სამეცნიერო კვლევა გარკვეული სტანდარტების დაცვით ჩაატაროს, შეიძლება ჰქონდეს ნაკლები აუდიტორიული დატვირთვა, რადგან მან სამეცნიერო ნაშრომები უნდა გამოაქვეყნოს, ხოლო სად გამოაქვეყნებს — ეს წინასწარ განისაზღვრება“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

შეხვედრაზე საუბარი იყო სხვა მიმდინარე საკითხებზეც. ითქვა, რომ რექტორთან პირისპირ შეხვედრები კარგი საშუალებაა — უშუალოდ მიანვიდინონ ხმა უნივერსიტეტის რექტორს და ასევე პირდაპირ მოისმინონ პასუხები აკადემიური პერსონალისთვის საინტერესო საკითხებზე. აღნიშნა ისიც, რომ ეტაპობრივად შესაძლებელია ასეთი შეხვედრები მიმართულელებზეც მოეწყოს.

მომზადა მანია ტორაძე

პოზიცია

როცა დუმილი არ არის ოქრო

ეს ის შემთხვევაა, როცა ჩემი „ბრძანდ-მეცხველება“ ვერცხლად იქნებ არ გამოიყენოს, მაგრამ ვერც დუმილი იქნება ოქრო.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამართული დისკუსია სათაურშივე შეფასებით იწყება, რომ განვიხილოთ „ხელოვნურად გაერთიანებული ფაკულტეტების დაშლა-დაყოფის მართლზომიერებას“. საკითხის იმგვარად დასმა, რომ ფაკულტეტები მექანიკურად იმ ნიშნით გაერთიანდა, აკადემიურ საბჭოში 12 კაცი რომ ყოფილიყო და მათი მართვა ადვილი იქნებოდაო, კრიტიკას ვერ ექვემდებარება. ფაკულტეტების შექმნილი გაერთიანების ბრალდება შეურაცხყოფელია უნივერსიტეტის პროფესორისათვის. აკადემიური საბჭო დღესაც 12 წევრს ითვლის და არც პროფესორთა მოსულა სხვა პლანეტიდან; ფაკულტეტები, უცვლელია, მცირე გამოხატულების გარდა. ეს გამოხატულება, რადგანაც ვერ თუ არ მონაწილეობდა ამ რეფორმებში, თვლიდა და დღესაც თვლის, რომ ამ ცხრა წლის მანძილზე დაინერგა უნივერსიტეტი და „დამანგრეველები“ დღეს ისევ აქა ვართ. უნივერსიტეტში მხოლოდ რექტორი და ზოგი პასუხისმგებელი პირი შეიცვალა. ძირითადი ბირთვი პროფესორისა არ შეცვლილა, მაგრამ დუმს და სადაც სხვაგან ეძებს ამ ყოველივეს შემოქმედს. იგი მართლაც ჩვენ გარეთ არის და ჩვენ ველოდებით მხოლოდ მის ნიშანს... უფრო მეტიც, უნდა ავიტანოთ დამანგრეველის სტატუსიც. ესეც ხომ გარეშე ძალას ბრალდება. ამიტომ თითქოს ადვილი ასატანი ხდება, თითქოს შესაძლებელია

გაჩუმდე, მაგრამ ხომ დადგება თაობათა წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი? რატომ ვდუმობთ ეს წლები ან ახლა რატომ არ ვიღებთ ხმას?

ჩემი აზრით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში რეფორმები ჩატარდა ფორსირებულად, მაგრამ — წარმატებით. იგი ვერ იქნებოდა უნაკლო და უშეცდომო. მთავარი კი ის იყო, რომ საქართველომ შეძლო გამოსულიყო საბჭოთა განათლების ორბიტიდან. ფაკულტეტების გაერთიანებაც არ მომხდარა უნაკლო და უშეცდომოდ, მაგრამ ეს ცვლილებაც იყო პოზიტიური სასწავლო-აკადემიური, ადმინისტრაციულ-ფინანსური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით; ეს ცვლილება ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან მიახლოებას, დარგთა შორის კოოპერაციას, ინტერდისციპლინურ მიდგომას გულისხმობდა; გულისხმობდა სტუდენტის თავისუფლებას სპეციალიზაციის არჩევაში (რასაც მაშინვე შევზღუდავთ, თუ ფაკულტეტებს მნიშვნელოვნად დაგვანაწევრებთ). ამგვარი მიდგომა ბოლონის პროცესთან შეერთებით იყო შეპირობებული. ეს პროცესი გვაახლოებდა ევროპულ სტანდარტებთან.

სწავლისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდისკენ უნდა იყოს მიმართული უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობის მცდელობა ფაკულტეტების დაშლისა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს იქნება დიდი რისკ-ფაქტორების შემცველი გამოწვევა უნივერსიტეტის წინაშე, რადგანაც:

1. იგი გამოიწვევს აკრედიტებული პროგრამების რადიკალურ ცვლას და შექმნის არასტაბილური ვითარებას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. დაზარალებიან „ოაზისური“, მცირე დარგები, შეიზღუდება სტუდენტის აკადემიური თავისუფლება, ეს დაგვაშორებს ევროპულ სტანდარტებს, დაგვაბრუნებს წარსულში.

2. გამოიწვევს მნიშვნელოვან საშტატო ცვლილებებს აკადემიური და ადმინისტრაციული კუთხით, ვერ გამოვრიცხავთ ამ ცვლილებებში სუბიექტურ გადაწყვეტილებებსაც.

3. უნივერსიტეტის მწირი ბიუჯეტი, რომელიც ახლანდელი პროგნოზით კიდევ უფრო შემცირდება (რადგანაც ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით თსუ-ს მნიშვნელოვნად შემცირდება სტუდენტთა მისაღები რაოდენობა), ვერ შეძლებს გაუძლოს ამ ცვლილებას.

4. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სააუდიტორიო სივრცეები ასევე ვერ იქნება შესაბამისობაში ამ ცვლილებასთან.

5. ეს ცვლილება არაფერს განსაკუთრებულს არ მოგვცემს სწავლისა და სწავლების ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტს უამრავი პრობლემა აქვს. ფაკულტეტების დაშლა არ უზრუნველყოფს მის წარმატებას. დაშლის საკითხი გაცილებით ადრე ისმოდა კულუარებში, ვიდრე მას მრჩევლთა საბჭოზე გააუქმებდნენ საბჭოს წევრები, რომელთაც ადრევე ჰქონდათ შესაძ-



ლებლობა არ დასთანხმებოდნენ ფაკულტეტების გაერთიანებას. უნივერსიტეტის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მისი ცვლილებები სამთავრობო ცვლილებებს ემთხვევა და არა პროფესორთა ინიციატივას, როგორც ეს ნამდვილ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში უნდა ხდებოდეს. უნივერსიტეტს სახელმწიფო უნდა უქმნიდეს გამართულ კანონმდებლობას და ეხმარებოდეს ფინანსურად, უნივერსიტეტი კი თავად უნდა განაგებდეს თავის თავს, ინიციატივებით უნდა მოდიოდეს ქვემოდან. მხოლოდ ამით შეეძლებოდა განახორციელოთ ნამდვილი საუნივერსიტეტო იდეა.

ცირა ბარამიძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი



კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამო თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის დამაარსებლის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამო 4 თებერვალს გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ქართული საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, კონსტანტინე წერეთლის ოჯახის წევრები და ახლობლები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „კონსტანტინე წერეთელი გახლავთ პიროვნება, რომელმაც ქართულ მეცნიერებაში მთელი ეპოქა შექმნა. ქართული აღმოსავლეთმცოდ-

ნეობის სკოლა ყოველთვის ძლიერი იყო. სემიტოლოგიაში საერთაშორისო დონეზე მიღწეული წარმატებები კოტე წერეთლის სახელთან ასოცირდება. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სწორედ მისი ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მოღვაწეობას მიაგებს პატივს“.

„დღეს ღირსშესანიშნავი საღამოა უნივერსიტეტში; ეს საღამო მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ჩვენთვის — ქართველი ებრაელებისთვის — იმათთვის, ვინც საქართველოში ვართ და ისრაელში წასულთათვის. ის ფაქტი, რომ ჩვენ — ქართველმა ებრაელებმა შევინარჩუნეთ ჩვენი სულიერება, ეს კოტე წერეთლის დამსახურებაა. მან

წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოში ებრაისტიკის, როგორც მეცნიერების, დაარსება-განვითარებაში“, — აღნიშნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, კლუბ „26 საუკუნის“ ხელმძღვანელმა, ებრაული ენის პედაგოგმა ზაირა დავარაშვილმა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ქართველი მეცნიერები — კონსტანტინე წერეთლის მოსწავლეები, ახლობლები; გაიმართა კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი თსუ-ის სტუდია „მემატინანეს“ მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმის „იობის რწმენით და მოთმინებით“ ჩვენება.

2014 წელი გამოცხადებულია საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების და 26 საუკუნის თანაცხოვრების აღნიშვნის წლად. კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამოს ორგანიზატორია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.



კვლევითი ინსტიტუტების საბაზო დაფინანსება მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალზეა განხორციელებული

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტეგრირებული 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფინანსების საკითხი განისაზღვრა. დოკუმენტის მიხედვით, კვლევითი ინსტიტუტების საბაზო დაფინანსება მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალზეა განხორციელებული და 1.111.290 ლარს შეადგენს.



„2014 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების ოდენობა არ შემცირებულა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობა ბოლო ორი წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ დაფინანსების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ნახალისდა. რასაკვირველია, ფინანსური მხარდაჭერა გაგრძელდება იმის შემდეგ, რაც სპეციალურად შექმნილი სამეცნიერო საბჭო, რომელიც სხვადასხვა დარგის წამყვანი მეცნიერებით არის დაკომპლექტებული, განიხილავს კვლევითი დაწესებულებებიდან მიღებულ ინფორმაციას მათი სამომავლო საქმიანობის შესახებ“, — აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

ვითი ინსტიტუტების სამომავლო ბედი და მათი დაფინანსების საკითხი. დღეისათვის ჩამოყალიბებული არ არის სახელმწიფო სტრატეგია მეცნიერების განვითარებისა და დაფინანსების სპეციფიკასთან დაკავშირებით. იმავდროულად კვლევითი ინსტიტუტების სამომავლო პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის გარკვეული დეფიციტია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლით გავაკეთოთ განცხადება, რომელშიც წარმოვჩინებთ უნივერსიტეტის პოზიციას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების მოდელის შესახებ. განსაკუთრებით პრინციპულად ვთვლით ინსტიტუტების საბაზო დაფინანსების უცვლელად შენარჩუნებას. სამეცნიერო კვლევა უწყვეტი პროცესია და შედეგზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისი მდგრადობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზო დაფინანსებას, პროგრამული (საპროექტო) დაფინანსება არ იძლევა ინსტიტუტების (სამეცნიერო ჯგუფების) უწყვეტი ფინანსირების გარანტიას და მხოლოდ მისი არსებობა არ წარმოადგენს მეცნიერების დაფინანსების მართებულ პრინციპს.

სამეცნიერო კვლევითი პროცესის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია საბაზო დაფინანსებასთან ერთად პროგრამული (პროექტებზე დაფუძნებული) დაფინანსების არსებობა შესაბამისი სრულყოფილი სქემის მიხედვით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების შესახებ, წინ უძღოდა თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ გავრცელებული განცხადება, რომელსაც უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომაც ერთხმად დაუჭირა მხარი. განცხადებაში აღნიშნულია: „გასულ წლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად უნივერსიტეტში ინტეგრირებულ იქნა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო სკოლების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემოერთებულ ყველა ინსტიტუტს შეუნარჩუნდა არსებული სამეცნიერო პერსონალი და საბაზო დაფინანსება. იმავდროულად, უნივერსიტეტმა განახორციელა ღონისძიებები სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

„იმეორისა, რომ სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს და ეს დაფინანსება უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის. იქ ხელფასები მინიმალური და ასეთ მდგომარეობაში ეს ინსტიტუტები დიდხანს ვერ იარსებებენ. არადა, ეს არის ის ინსტიტუტები, რომელთა შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. საბაზო დაფინანსების გარდა, აუცილებელია ამოქმედდეს საგრანტო დაფინანსებაც. როგორმე უნდა გამოინახოს დამატებითი სახსრები... სხვა მხრივ ამ ინსტიტუტებს განვითარების პერსპექტივა არ აქვთ“, — აღნიშნა თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრმა ნუგზარ სურგულაძემ.

„ჩემი პოზიცია იგივეა. ერთი კვარტლის დაფინანსება საქმეს არ უშველის. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც უნივერსიტეტის შემადგენლობაშია, ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, მეცნიერთანამშრომლებს ღირსეული ხელფასი უნდა ჰქონდეთ და არა 180 ან 200 ლარი. უნივერსიტეტის შემოსავლები საბიუჯეტო არ არის, ეს არის გრანტები, რომელსაც სახელმწიფო უხდის წარმატებულ აბიტურიენტებს ან გადასახდელი, რომელიც სტუდენტს თავად შემოაქვს. მშობლების პოზიციიდან თუ შევხედოთ, არავინ იქნება დაინტერესებული, რომ ამ ფულით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაფინანსდეს. ეს სახელმწიფოს მოვალეობაა. თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ჩვენ ვითხოვდით, მეცნიერებისთვის საბაზო დაფინანსების შენარჩუნებას, რადგან გაზრდაზე არც იყო საუბარი. რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილ სამეცნიერო საბჭოს, რომელმაც ერთი კვარტლის შემდეგ უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება უნდა განსაზღვროს, მასში უნდა შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, მათ ვენდოთ“, — განაცხადა აკადემიური საბჭოს წევრმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა.

„ჩემი პოზიცია იგივეა. ერთი კვარტლის დაფინანსება საქმეს არ უშველის. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც უნივერსიტეტის შემადგენლობაშია, ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, მეცნიერთანამშრომლებს ღირსეული ხელფასი უნდა ჰქონდეთ და არა 180 ან 200 ლარი. უნივერსიტეტის შემოსავლები საბიუჯეტო არ არის, ეს არის გრანტები, რომელსაც სახელმწიფო უხდის წარმატებულ აბიტურიენტებს ან გადასახდელი, რომელიც სტუდენტს თავად შემოაქვს. მშობლების პოზიციიდან თუ შევხედოთ, არავინ იქნება დაინტერესებული, რომ ამ ფულით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაფინანსდეს. ეს სახელმწიფოს მოვალეობაა. თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ჩვენ ვითხოვდით, მეცნიერებისთვის საბაზო დაფინანსების შენარჩუნებას, რადგან გაზრდაზე არც იყო საუბარი. რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილ სამეცნიერო საბჭოს, რომელმაც ერთი კვარტლის შემდეგ უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება უნდა განსაზღვროს, მასში უნდა შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, მათ ვენდოთ“, — განაცხადა აკადემიური საბჭოს წევრმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში უნივერსიტეტმა საქართველოს მეცნიერების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართვის მზადყოფნა გამოთქვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის ინფორმაციით, სამინისტრო უმაღლესი განათლების სფეროში გასატარებულ რეფორმებთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ღიად თანამშრომლობს.

მომზადდა ნატო ოპოლაქემ

რატომ ჰყავს თსუ-ში საგამოცდო პროცესს ნუნდობელი?

მარიამ ნადარეიშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტი:

ლალი და უდარდელი სტუდენტური ცხოვრება სემესტრის ბოლოს წინ შესამჩნევად იცვლება, მდღეობა პიკს აღწევს — ბიბლიოთეკებში, ქსეროქსის აპარატებთან, სოციალურ ქსელებში მხოლოდ ერთი თემა რჩება აქტუალური: გამოცდები!

„ჩემი აზრით, გასულ წელთან შედარებით, სიტუაცია ნამდვილად უკეთესობისკენ არის შეცვლილი. გამოცდების პერიოდში პრობლემები არ შემქმნია, თუმცა ჩემი ზოგიერთი მეგობარი აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ გამოცდებს შორის დიდი შუალედია, ზოგჯერ კი — პირიქით, მაგრამ, იმედია, ეს პრობლემა მოგვარდება.“

ცნობილია, რომ გამოცდაზე გასვლის წინ ადამიანი სერიოზულ ფსიქოლოგიურ სტრესს განიცდის, ამიტომ სტუდენტისთვის შესაბამისი კომფორტული გარემო ამ დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბუნებრივია, თსუ-ის ადმინისტრაციასთან თუ რექტორთან შეხვედრების დროს ერთერთ მწვავე საკითხად სწორედ საგამოცდო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მოთხოვნა განიხილება. სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პრობლემების მიუხედავად, წინა წლებთან შედარებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით პროცესი დაიძრა და სიტუაცია დღით დღე უკეთესობისკენ იცვლება. თსუ-ის საგამოცდო ცენტრი IT დეპარტამენტთან ერთად ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია.

მაგდა სხიარელი,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის III კურსის სტუდენტი:

ჩვენ მიერ გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა, ძირითადად, შუალედური გამოცდების პარალელურად, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აპროტესტებს, ბევრი მათგანი კი საგამოცდო ნაშრომების შეფასების სისტემის გაუმჯობესებას მოითხოვს და ა.შ. თუმცა, სტუდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ საგამოცდო გარემო მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა, დადებითად აფასებენ იმ ფაქტსაც, რომ წელს გაყინულ აუდიტორიუმში აღარ უნევთ გამოცდების ჩაბარება.

„ფინალური გამოცდები მეტ-ნაკლებად ნორმალურად მიმდინარეობს, დროც განაწილებულია, რათა მაქსიმალურად შევძლოთ მომდევნო გამოცდისთვის მომზადება. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ შესაძლოა კოლოკვიუმების დროს ერთ დღეს ერთმანეთს სამი გამოცდა დაემთხვეს, რაც სტრესთან და დროის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული. გასაგებია, რომ კვირაში მხოლოდ შვიდი დღეა და ერთ კვირაში ძნელია ცხრილის ისე შედგენა, რომ საგნები ერთმანეთს არ დაემთხვეს, მაგრამ გადატანის შესაძლებლობა მაინც უნდა იყოს. მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადი გამოცდები მეტ-ნაკლებად ნორმალურად მიმდინარეობს, დამკვირვებლებიც კარგად არიან შერჩეულნი, რაც სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია.“

ვად უამრავი სირთულისა, პროცესი უკეთესობისკენ შეიცვალა და მომავალში სისტემა ყველა მიმართულებით უფრო მეტად დაიხვეწება.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო გარემო ბევრად გაუმჯობესდა და ამ მიმართულებით რადიკალური ნაბიჯები გადაიდგა. რექტორის, ბატონ ვლადიმერ პაპუას მოთხოვნაც ასეთი იყო, რომ სტუდენტების ინტერესები მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა. ის, რაც ამ მოკლე დროში გავაკეთეთ, ნამდვილად შედეგისანი აღმოჩნდა, თუმცა, პრობლემები მაინც რჩება და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.“

ცხრილი გაკეთდა პროგრამულად, რამაც საშუალება მისცა საგამოცდო ცენტრს მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა სტუდენტების ინტერესები. ჩვენ გავითვალისწინეთ მათი სამართლიანი შენიშვნები და, საგამოცდო საგნების დამთხვევის თავის არიდების მიზნით, თითო საგანში გამოცდები რამდენჯერმე ჩატარდა. ჩვენი ინფორმაციით, სტუდენტები კმაყოფილები დარჩნენ, რადგან, რეალურად, ასეთმა მეთოდმა გაუმჯობესება ხარისხიც. ამავე დროს, გამოცდებს შორის დავიცავით ორ-სამდღიანი შუალედებიც. წელს სტუდენტისთვის შედარებით უფრო მოქნილი ცხრილები გაკეთდა და პირობებიც გაუმჯობესდა. ახლა სისტემაზე გადასვლა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, ამიტომ გაორმაგებული ძალებით გვიწევს მუშაობა. ყველანაირად ვცდილობთ, პროცესი იყოს სტუდენტისთვის მოქნილი. ინ-



ტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ცხრილების დახვეწისთვის, აპელაციის პროცესის გაუმჯობესებისთვის და სხვა. ჩვენი მიზანია, ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, რაც ფინანსებთან არის დაკავშირებული. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ ამ გზით და იმედია, საბოლოოდ ყველა სტუდენტისთვის მისაღებ და დახვეწილ საგამოცდო გარემოს შევქმნით“, — ამბობს მათა ჩიღვინაძე.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ძნელია სტუდენტების გულის მოგება, თუმცა მათი აზრები კარგი გამოფიქრების საშუალებაა. ამასთან, თავად სტუდენტებმაც კარგად უნდა გაიაზრონ თავიანთი მოვალეობები და მათი მხრიდანაც უნდა შემოვიტონ დაგვიანებები, გამოცდაზე წესრიგის დარღვევა...

მომზადდა შპრისინა ბაროშვილმა

სტუდენტ-მსწიპი



გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

სტუდენტები რეპტორის მუშაობას აჯამებენ

უკვე ერთი სასწავლო სემესტრი გავიდა, რაც აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა თსუ-ის რექტორად აირჩიეს. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა და დაიგეგმა რამდენიმე პროექტი და ინიციატივა, რაზეც თავად რექტორსაც ჰქონდა საუბარი თავისი 100 დღის მუშაობის შეჯამებისას. რექტორის მუშაობის ექვსთვიან პერიოდს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აჯამებენ: ისინი ახალი რექტორის მიერ მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და სიახლეების დაწესებასთან ერთად, უნივერსიტეტში ჯერაც გადაუჭრელ პრობლემებზეც საუბრობენ.



ირაკლი ირაპაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

რექტორის მუშაობის ამ პერიოდში დადებითად შევაფასებდი მის გახსნილობას. პირველივე დღეებში, როცა ჩვენ აქცია მოვანყვეთ გამართავ ბაზებთან დაკავშირებით, შეგვხვდა და დაგველაპარაკა. ასევე მისასალმებელია ლიტერატურის თარგმანთან დაკავშირებული სიახლე. გამოვყოფდი პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შემოღებასაც, რომელიც საკმაოდ პროგრესული პროექტია. ამის საშუალებით თსუ გახდება წარმატებული უნივერსიტეტი. ახალგაზრდა მეცნიერებს შეეძინება რეალური ბაზა, მოტივაცია იმისთვის, რომ ღირებული სამეცნიერო პროდუქტი შექმნან დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ.

ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. გარკვეულწილად მესმის რექტორის, რადგან რთულია, რეკონსტრუქციური რეფორმების გატარება, თუმცა ჩვენი უნივერსიტეტი დღეს სწორედ ამგვარი რეფორმების გატარების საჭიროების წინაშე დგას. კონკრეტულად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყველაზე დიდი პრობლემა აკადემიური პერსონალის ნაკლებობა და გადავსებული ჯგუფებია. ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის სწავლების პროცესში, ხშირად სემინარზე 45-მდე სტუდენტი ვართ და შესაბამისად, ვერ ხერხდება ყველას ჩართვა სასწავლო პროცესში.

ნათია ჯაჰანგიროვი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

იმის გამო, რომ არც ისე დიდი ხანია გასული რექტორის არჩევანი, რთულია იმის გამოკვეთა — რა შეიცვალა და რა არა. ახალი პროექტებიც, რაც კი ამ დროის განმავლობაში დაიგეგმა, ძირითადად 2014 წელს განხორციელდება, ამიტომ მკაცრი შეფასებისგან თავს შევიკავებ. ერთი რამ ფაქტია, რომ რექტორი ძალიან ფრთხილად და სისტემურ ცვლილებებს თავს არიდებს — ამასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. მე, პირადად, ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტი ვარ და ჩემი დიდი სურვილია, ბაკალავრიატში თუ არა, მაგისტრატურაში მაინც მომეცეს ნორმალური ლაბორატორიები სწავლისა და მუშაობის შესაძლებლობა. ვისურვებდი იმასაც, რომ დაიწყოს რექტორის სტიმულირება სხვადასხვა პროგრამებით, პროექტებით. ზოგიერთი მათგანი იმდენადაა მეცნიერებაზე ხელჩაქეული, რომ ეს განწყობა პირდაპირ გადადის სტუდენტებზეც. შესაბამისად, არანაირი მოტივაცია მათგან არ მოდის. ასევე გამოვყოფდი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემას. სამწუხაროდ, დღემდე სტუდენტები სწავლობენ უცხო ენას BI დონეზე, მაშინ,

როდესაც სტუდენტების უმეტესობა ბევრად მაღალი ცოდნის დონით მოვიდა უნივერსიტეტში. მოკლედ, პრობლემა ბევრია, ჩვენ სულ გვინდა, რომ რაღაც უკეთესად იყოს, მაგრამ მართო რექტორიც ვერაფერს შეცვლის — თუ ეს ნება არ იყო ლექტორებშიც და სტუდენტებშიც.

ნინო ზასაძე, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი:

პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ სასიამოვნო და დასაფასებელია რექტორის უშუალო ურთიერთობა სტუდენტებთან, რასაც აქამდე ვერ ვგრძობდით, საერთო ჯამში, დადებითად შევაფასებდი მის ახლანდელ მუშაობას და იმედით ვარ განწყობილი, მისი მომავალი საქმიანობის მიმართაც.

უშუალოდ ჩემს ფაკულტეტზე პრობლემად მიმაჩნია სტუდენტთა მომსახურების ცენტრის ხარისხობრივად გაუმართავი მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელი ბაზები უნდა ითქვას ისიც, რომ რადგან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ერთერთ პრიორიტეტულ სფეროს მიეკუთვნება საქართველოში და უნივერსიტეტის წამყვანი მიმართულებაა, ვისურვებდი და აუცილებელია, საშუალება მოგვეცეს პრაქტიკულ ცოდნას დავეუფლოთ. უნივერსიტეტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ამ სფეროში პრაქტიკული გადაწყვეტილების ბაზა. ვფიქრობ, ეს არც ისე რთულია, რადგან უამრავ კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციებთანაა შესაძლებელი მსგავსი შეთანხმების მიღწევა. ჩვენი დიდი სურვილია, მოგვარდეს ლიტერატურის თარგმნის პრობლემაც, რისი პირობაც რექტორმა უკვე დადო და ისლა დაგვრჩენია — დაველოდოთ სასიკეთო ცვლილებებს.

სოფო შუბითია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

რექტორად ვლადიმერ პაპავას არჩევა უნდა ყოფილიყო დიდი ნახტომი წინარე ხელმძღვანელობის შემდეგ, რადგან ადმინისტრაცია და რექტორი ვერ ამართლებდა თავის ფუნქციას. შესაბამისად, ლადო პაპავა ისახებოდა აპოლიტიკურ, განათლებულ და საუნივერსიტეტო ტრადიციების გამგრძელებელ რექტორად. ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლა მისი არჩევის შემდეგ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის

შემოღება იყო. ასევე მისი მმართველობის პერიოდში გაიხსნა „თსუ მულტიმედია ცენტრი“ და დაიწყო სახელმძღვანელოების თარგმანა. თუმცა ამის მიუხედავად, ადმინისტრაციული პრობლემები კვლავ რჩება. სტუდენტის ყოველდღიურობაში რაიმე რეალურ ცვლილებაზე საუბარი რთულია. მიმაჩნია, რომ რექტორი კონსერვატიულად ცდილობს რეფორმების გატარებას და მეტად ფრთხილია, თუმცა ამასაც თავისი დადებითი მხარე აქვს, რადგან უნდა მენეჯერული პრობლემის აღმოფხვრა ერთი ხელის მოსმით არ ხდებოდა და ამას ხანგრძლივი მზაობა სჭირდება.

ოლიკო კობახიძე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:

ვლადიმერ პაპავამ თანამდებობის დაკავებისთანავე დაიწყო რეფორმების გატარება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მან სურვილი გამოთქვა, ივანე ჯავახიშვილის მიერ არჩეული გზისათვის ფეხი აეწყო. სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ხელშეკრულება, ხელოვნურად გაერთიანებული ფაკულტეტების დაშლა, პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნა, სხვადასხვა პრობლემის აქტუალიზაცია მთავრობის წინაშე — ეს ყველაფერი ნამდვილად მისასალმებელია და, ალბათ, სრული ჩამონათვალიც არაა, თუმცა სტუდენტობას დღესდღეობით კვლავ აწუხებს ის პრობლემები, რაც რამდენიმე წლის წინ აწუხებდა და ვლადიმერ პაპავას წინამორბედმა ყურადღების მიღმა დატოვა. არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი: მოუწესრიგებელი სილაბუსები, ბიბლიოთეკაში წიგნების ნაკლებობა ან არარსებობა, ელექტრონული ბიბლიოთეკის ხარვეზი, ინტერნეტის გაუმართაობა, საგნების არჩევა, რომელიც სწრაფ ინტერნეტსა და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული. ეს ყველაფერი მე, როგორც იურიდიული ფაკულტეტის რიგით სტუდენტს, ნამდვილად მანუხებს. თუმცა, ვფიქრობ, ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ ერთ პიროვნებაზე არაა დამოკიდებული, რადგან უნივერსიტეტი ერთი მთლიანი სისტემაა და მისი კეთილდღეობა მხოლოდ რექტორის მოვალეობა ვერ იქნება. განვითარებისათვის სტუდენტთა მაღალი ჩართულობა, თითოეული ფაკულტეტის ხელმძღვანელის ძალისხმევაა საჭირო.

მომზადდა ცისინა ცარცვაძემ

სტუდენტების თვალთ დანახული განვლილი სემესტრი

2013 წლის შემოდგომის სემესტრიც მიიწურა... განვლილ დღეებს თუ გავიხსენებთ, მივხვდებით — რამდენი გვისწავლია, რამდენ ახალ პრობლემას გავმკლავებდით და როგორ გავზრდილვართ. და მაინც, რა გვახსენდება ახლა? რა იყო სემესტრის ყველაზე დასამახსოვრებელი ფაქტები? განვლილი სემესტრის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ თსუ-ის სტუდენტებს გავეცაუბრეთ.

ლალი შენგელია

ნოდო თოთაძე, კავკასიოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური ლიგის“ ხელმძღვანელი:

მიმდინარე სემესტრი თსუ-ში ჩემთვის და, ალბათ, სტუდენტთა უმრავლესობისთვის ღირსშესანიშნავი მოვლენით დაიწყო: ახალი სასწავლო სემესტრი ახლად არჩეულ რექტორთან და განათლების მინისტრთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოგვილოცა. შემდეგ კი, ჩვეულებისამებრ, ბევრი კონფერენცია, კონკურსი, საქველმოქმედო და გასართობი, შემეცნებითი და საინტერესო საღამო ჩატარდა. სტუდენტები კვლავ აქტიურად იყვნენ ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, თუმცა გასულ სემესტრთან შედარებით ნაკლები პროტესტი გამოითქვა ადმინისტრაციისა და რექტორის მისამართით. ეს უპირველესად უკავშირდება ახალი რექტორის ნაბიჯს — შეხვედროდა სტუდენტებს თავიდანვე და პრობლემების შესახებ უშუალოდ მათგან მოესმინა. ამ შეხვედრამ, შეიძლება ითქვას, სტუდენტებს მისცა დამშვიდების საშუალება და მოლოდინი პრობლემების აღმოფხვრისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ადმინისტრაციის მუშაობის საკმაოდ

გაუმჯობესება, ვგულისხმობ სტუდენტთა სასწავლო ბაზების მონტაჟების მცდელობას და ალტერნატიული საიტის შექმნას. თუმცა, პრობლემა ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

სემესტრის განმავლობაში არაფერი შეცვლილა სტუდენტური ცხოვრების წარმართველ თვითმმართველობაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლავინდებურად შემოგვთა-

ვაზეს ბევრი და საკმაოდ კარგი ღონისძიება, ჩემთვის თვითმმართველობა კვლავ რჩება სისტემურ ხარვეზად. რამდენადაც ვიცი, უკვე მუშაობენ საკითხზე, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტმა უნდა დააფინანსოს არა ერთი სტუდენტური გაერთიანება თვითმმართველობის სახით, არამედ კონკრეტული ღონისძიებები, პროექტები, რომლებსაც ადმინისტრაციამ წარადგენს ნებისმიერი სტუდენტი ან სტუდენტური კლუბი/ჯგუფი. ამის განხორციელება იქნება დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი.

პრობლემად რჩება სტუდენტების ადმინისტრაციასთან ურთიერთობა. მე, ისევე როგორც ჩემი მეგობრები და სტუდენტთა

აბსოლუტური უმრავლესობა, ხშირად ვართ მათი განუღივრებელი უკმაყოფილო. კითხვებზე ხშირად ვიღებთ ისეთ პასუხებს როგორც: „მე რა ვიცი“, „მე რა ქვია“, „იმასთან“ მიდი და ამ დროს „ის“ კვლავ „ამასთან“ გაბრუნებს, „ის“ კიდევ სხვასთან და ა.შ. თუ რამე გინდა გაიგო, ან თუ რაიმე ღონისძიება გაქვს დაგეგმილი, ებმები ისეთ ჯაჭვში, რომ ყველაფერი ბოლო წამებში შეიძლება მოგივარდოს, ან საერთოდაც დარჩე ისე. არც ღირს საუბარი — რამდენად უარყოფითად აისახება ეს ყოველივე მოტივირებულ სტუდენტებზე.

ჩატარებული ღონისძიებების მიხედვით, ვფიქრობ, ამ სემესტრშიც თსუ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას კონკრეტული ადამიანების თავდადებული შრომისა და ენერჯის ხარჯზე. მინდა გამოვყო მნიშვნელოვანი რამდენიმე ღონისძიება, რომელიც ასევე ჩემი ინტერესის სფეროა. პირველი, ეს გახლდათ, კავკასიის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და მონიშნულ მასალებში. სიმპოზიუმი იმითაა აღსანიშნავი, რომ ხელი შეუწყო ქართველი და უცხოელი მეცნიერების დაახლოებას, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას, სამომავლო გეგმებისა და ერთობლივი ღონისძიებების დასახვა. ასევე, ამ სემესტრში თსუ-მ უმასპინძლა არსოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციას „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“, რომელიც ასევე გახლდათ საერთაშორისო ღონისძიება.



მე-9 გვირგვინი



სტუდენტების თვალთ დანახული განვლილი სემესტრი

მერვე გვერდიდან

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კავკასიოლოგია III საერთაშორისო კონგრესი: მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში. ეს იყო გამორჩეული ღონისძიება მისი ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობითა და შედეგებით.

მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობის ღონისძიებისა, რომელიც უნივერსიტეტის პრესტიჟზეც აისახებოდა, უნივერსიტეტის მხრიდან არ მოხდა მისი სრულად მხარდაჭერა. ვგულისხმობ იმას, რომ თსუ-ის სააქტო დარბაზში გაიმართა მხოლოდ გახსნილი ღონისძიება, ხოლო მე-2 და მე-3 დღის ღონისძიებების ჩატარებაზე თსუ-ში ორგანიზატორებს უარი უთხრეს. მისასალმებელ გამოსვლაში რექტორის სიტყვების შემდეგ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩატარდა.

ბოლოსთვის, მინდა გამოვხატო ჩემი დადებითი დამოკიდებულება თსუ-ის პანთეონში იოსებ ყიფშიძის — ჩვენი გამოჩენილი მეცნიერისა და უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებლის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით.

ანა მიქაშაძე, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი, აფხაზური და ოსური პრობლემატიკის შემსწავლელი საინიციატივო ჯგუფის წევრი:

— 2013 წლის შემოდგომის სემესტრის საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე ფიქრისას მახსენდება სემესტრის დასაწყისი, როდესაც ძლიერ ავირჩიე საჭირო საგნები. ამ პრობლემის გამო ჩემს მეორე პროფესიაზე მინევედა უარის თქმა. ამას გარდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ღონისძიების ჩასატარებლად დარბაზის დაჯავშნისას მექმნებოდა დიდი პრობლემები. სემესტრის განმავლო-

ბაში მიცდებოდა საგნები, რაც ჩემს უკმაყოფილებას იწვევს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იმავე მიმართულების საგნებიც კი შემთხვევითად. ამის მიუხედავად, სემესტრი პრაქტიკული ცოდნის მიღების თვალსაზრისით ძალიან დამეხმარა, ვიმუშავე ბევრ საინტერესო თემაზე, ავიღე სტიპენდია და სტიპენდიის კრიტერიუმების შეცვლითაც კმაყოფილი ვარ.

ალექსანდრა ახალკაცი, საერთაშორისო ურთიერთობების მესამე კურსის სტუდენტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები ახალგაზრდობისა და მომავლისთვის“ ხელმძღვანელი:

— თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ახალ ადმინისტრაციას აუარებელი სამუშაო აქვს, რადგან 2004 წლიდან 2012 წლამდე უნივერსიტეტმა აქ არსებული თვითმართველობის საშუალებით დაკარგა მისი სახე. ახალ ადმინისტრაციას მუდმივად შე-

ვუნყოფთ ხელს პრობლემების აღმოფხვრაში. მინდა გავიხსენო, სულ რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტი, როდესაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტიპენდიატების გამოცხადებიდან რამდენიმე დღის მერე სიები შეცვალეს და 19 სტუდენტი აღნიშნული სტიპენდიის გარეშე დატოვეს. ჩვენმა წინააღმდეგობამ და „ზემდგომ ინსტანციებში“ გასაჩივრებამ შედეგი გამოიღო. სტუდენტების უფლებადამცველთა ორგანიზაციებმა ამ უკანონობის აღმოფხვრა მოვახერხეთ. ვფიქრობ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც სტუდენტების უფლებები ირღვეოდა და ამიერიდან ჩვენი გუნდი ამის საშუალებას არავის მისცემს. მოვუხდებოდა ასევე უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ გაერთიანებებს — უფრო აქტიურები და ფხიზლები იყვნენ.

მოამზადა ლალი შინგალია

როგორ უნდა იყოს ლექტორი სტუდენტების შეფასებით

სალომი გორგოძე

როგორ უნდა იყოს უნივერსიტეტის ლექტორი სტუდენტების შეფასებით? რა მოსწონთ ან არ მოსწონთ მათ ლექტორების მუშაობაში? რის გამოსწორებას ისურვებდნენ ან, ზოგადად, სტუდენტების შეფასებით, რა არის ის ძირითადი ღირებულებები, რომლის მიხედვითაც ლექტორმა სასწავლო პროცესი უნდა წარმართოს?

უნივერსიტეტში ამ საკითხთან დაკავშირებით ლექტორის შეფასების კითხვარიც შეიქმნა, რომელსაც სტუდენტები სემესტრის დასაწყისში ავსებდნენ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თამარ ვეფხვაძის თქმით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში პირდაპირ არის ფორმულირებული უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია, რომ ეს არის პერმანენტულ რეჟიმში სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების ხარისხის მონიტორინგი, ასევე, უნივერსიტეტში სტუდენტთა მომსახურების ხარისხის შეფასება და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების გაცემა. „ამ კითხვარების შემუშავება არ ეფუძნება რაიმე ტიპის ვერტიკალურ მოდელს. ჩვენ გვაქვს კოლეგიალური ორგანო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი. შესაბამისად, კითხვები, რომლებიც არის აკუმულირებული ამ კითხვარში, სერიოზული მსჯელობისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგია. რამდენადაც ინფორმაციის პირველ წყაროდ გვევლინება, ფაკულტეტი, მათი დახმარებით გროვდება ძალიან საინტერესო მასალა, რომელიც შეიძლება შევთავაზოთ მთელს უნივერსიტეტს, როგორც რაიმე პრობლემის მოგვრების მექანიზმი“, — განმარტავს თამარ ვეფხვაძე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დალი ოსუფაშვილის თქმით, კითხვარის მიზანი არის სტუდენტების შეფასებების, ინიციატივების გაგება სასწავლო კურსის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, „თუმცა კითხვარის შევსებასთან ახლდა ტექნიკური ხარვეზი, რის გამოც, შეიძლება ითქვას, კვლევა არაფრულფასოვანი აღმოჩნდა“, — ამბობს დალი ოსუფაშვილი.

„გასულ სემესტრში კითხვარის გააქტიურებიდან დაახლოებით 10 დღის შემდეგ შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ ბაზაში კითხვარები არ აქტიურდებოდა. როცა მოვიძიეთ ამის მიზეზები და აუტენტი განვაში, გაირკვა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო მას „ემსხვერპლა“ გამოკითხულ სტუდენტთა ინფორმაცია. ბაზის გაუმართაობის გამო იგივე განმეორდა გაზაფხულის სემესტრის დასაწყისშიც. დალი ოსუფაშვილის თქმით, ამ ეტაპზე კითხვარის ახალი ვერსია უკვე გადაგზავნილი აქვს ადმინისტრაციას. მთავარია ტექნიკურად ბაზების გამართვა, რათა სტუდენტებმა მათი შევსება შეძლონ. სხვა მხრივ, კითხვართან დაკავშირებით შინაარსობრივი პრობლემა არ არის.

რას ფიქრობენ სტუდენტები? როგორ აფასებენ თსუ-ის ლექტორებს და რის გამოსწორებას ისურვებდნენ ისინი სწავლის პროცესში? როგორ აფასებენ ისინი კითხვარს და მის ეფექტურობას?

სტუდენტ ანი ჩქიტიძის თქმით, „ლექტორი სტუდენტის ცნობიერი მხარის ამაღლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა მასალის გაზიარებაზე. გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს სხვა შემოქმედებითი მხარეებიც, მაგალითად მარტო სემინარებით არ შემოიფარგლებოდეს. თუ ლექტორი ხვდება, რომ მისი საგანი იმდენად უინტერესოა, რომ სტუდენტები

არ ირჩევენ (ძალიან ბევრი საგანი გვაქვს ასეთი თსუ-ში), უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საგანი უფრო დახვეწილი და საინტერესო გახადოს. ლექტორი ადმინისტრაციულ საკითხებში უნდა იყოს გარკვეული. მას სტუდენტების თანადგომაც უნდა შეეძლოს“.

სტუდენტი თამარ ქუშიასვილი ამბობს: „მიხარია, რომ ყოველდღიური ურთიერთობა მინეეს ისეთ პროფესიონალებთან, რომლებმაც, ცოდნის გარდა, ცხოვრებისეული გამოცდილებაც მომცეს. სამწუხაროდ, მქონია ურთიერთობა ისეთ ლექტორებთანაც, რომლებიც სტუდენტებთან კომუნიკაციის პროცესში საგრძობლად მოისუსტებენ და არც პასუხისმგებლობის დიდი გრძობით გამოირჩევიან. ამ მხრივ კარგია, რომ სემესტრის ბოლოს ვაცხებდით ლექტორების შეფასების კითხვარს, სადაც ყველა იმ დადებით მხარესა თუ ხარვეზს ვაფიქსირებთ, რომელთაც კონკრეტული საგნის შესწავლისას ხვდებით. რამდენად ითვალისწინებს მიმართულება შემდგომ ჩვენს შენიშვნებს, ეს უკვე ცალკე საკითხია“.

სტუდენტ შოთა ფალავანიშვილის თქმით, კარგი ლექტორი, პირველ რიგში, განათლებული და იმ საქმის მოყვარული პროფესიონალი უნდა იყოს, რომელსაც ემსახურება. „მნიშვნელოვანია, რომ ლექტორი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყოს და მუდმივად ცდილობდეს — სიახლე შეიტანოს სასწავლო კურსში. ლექტორისთვის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თვისება კომუნიკაბელურობაა. ჩემთვის იდეალურია ლექტორი, რომელსაც შეუძლია სტუდენტს, როგორც მომავალ კოლეგას, ისე მოეპყროს. ვფიქრობ, აუცილებელია, რომ ლექტორმა თითოეული სტუდენტი ალიქვას, როგორც ინდივიდი და საკუთარი მოსაზრებებიც არ მოახვიოს თავს, შეეძლოს თითოეულ მათგანთან ჯანსაღი დისკუსიის გამართვა. თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტში ლექტორთა დიდი ნაწილი, რომელთაც შეეხება მქონია, ნამდვილად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს. მათ დიდ ნაწილთან დღემდე ვემგობრობ და ვთვლი, რომ მათგან ნამდვილად ბევრი რამ ვისწავლე“, — ამბობს შოთა.

სტუდენტ თორნიკე ბოლოკაძის თქმით, უნივერსიტეტში ის ლექტორები, რომლებიც მას ასწავლიდნენ, ძირითადად, ორ კატეგორიად იყოფიან: მათგან ერთი ნაწილი გამოირჩევა სიზარმაცით, მოვალეობის მოხდის მიზნით რომ ატარებს ლექციებს და არც სწავლების ახალ ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე ნაწილი ცდილობს საკუთარი თავის განვითარებას. „ჩემთვის კარგი ლექტორია მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც კარგად ფლობს საგანს, ზრუნავს საკუთარი თავის მრავალმხრივ განვითარებაზე და გააჩნია მრავალფეროვანი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამართული და საინტერესო სწავლების მეთოდები“.

სტუდენტი ანო მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ლექტორი საკითხის კარგად მცოდნე უნდა იყოს, რომელიც გარდა ინფორმაციული ცოდნისა, სტუდენტს მსჯელობას და მისი პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ასწავლის. „ლექტორის სალექციო კურსი არ უნდა იყოს მონყვეტილი საზოგადოებაში არსებულ სოციალურ მდგომარეობასა და პროცესებს. ამასთან, იგი თავის დროზე უნდა ასწორებდეს ნაშრომებს და წერდეს ქულებს, ლექციებს არ აცდენდეს, იცოდეს სტუდენტის მოსმენა და მასთან მსჯელობა“, — ამბობს ანო.

სტუდენტები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან მათ მიერ შევსებულ კითხვარებში აღნიშნულ შეფასებების გათვალისწინებას და ადეკვატურ რეაგირებას მოელონ.

მოამზადა სალომი გორგოძე

რა ღონისძიებებზე დასწრებას ისურვებდნენ სტუდენტები თსუ-ში?

სასწავლო სემესტრი დასრულდა და სტენდებზეც აღარ ჩანს „ცნობის ფურცლები“, რომლებიც ღონისძიებების შესახებ გვაუწყებენ. უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე წლის განმავლობაში არაერთი შეხვედრა, კონფერენცია თუ ღონისძიება იმართება. ინფორმაციაც ხან სოციალური ქსელების საშუალებით, ხან სტენდებზე გამოკრული პლაკატებით, ხანაც მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ვრცელდება. ჩვენ გამოვკითხეთ სტუდენტები, რა სახის ღონისძიებებზე დადიან, რა მოსწონთ და როგორი სახის შეხვედრების ჩატარებას ისურვებდნენ.

როგორც გაირკვა, სტუდენტების უმეტესობა უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებს არ ესწრება. ზოგი ამის მიზეზად მათთვის არახელსაყრელ დროს ასახელებს, ზოგი ინფორმაციის ნაკლებობას, ზოგიც შეთავაზებულ ღონისძიებების მიმართ ნაკლებ ინტერესს. სტუდენტებს სურვილი აქვთ უნივერსიტეტში მეტი სამეცნიერო, შემეცნებითი და ინტელექტუალური შეხვედრა ჩატარდეს.

გიორგი ლოლაშვილი:

— თითქმის არანაირ ღონისძიებებს არ ვესწრები უნივერსიტეტში, გარდა იმისა, რომლებსაც ჩემი თანაკურსელები უკეთებენ ორგანიზებას ან რომელიმე რომელიმე მათგანი მონაწილეობს. ძირითადად მაინტერესებს — თუ რა გააკეთეს და მაგიტომ მივდივარ. აი, მაგალითად, ბოლოჯერ ვიყავი ჩემი კურსელის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდა მხატვრების შეხვედრაზე. სტუმრებმა თავიანთი ნახატები, ვიდეოები გვაჩვენეს. ღონის-

ძიებებს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, არც ვადევნებ თვალს. წარსული გამოცდილებით ვიცი, რომ ჩემთვის საინტერესო არაფერი ტარდება და სულ ვფიქრობ, რომ გული დიდად არ დამწყდება, თუკი არ დავესწრები.

თათია სისიაშვილი:

— რამდენიმე ღონისძიებაზე მომინდა წასვლა, მაგრამ გვიან გავიგე ინფორმაცია. ზოგი კი ისეთ დროს ტარდება, როცა სემინარი მაქვს, ან კიდევ სალამოსა და უნივერ-

სიტეტიდან სახლში წასული უკან ვეღარ ვბრუნდები. ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტში ბევრი პოეზიის სალამო ჩატარდეს, ანუ შეხვედრები საინტერესო მწერლებთან.

ლავა სენაშვილი:

— დავდივარ შემეცნებითი, ინტელექტუალური და გასართობ საღამოებზე, როდესაც მცალია. არ დავდივარ კონცერტებზე და „მან-სან-კან“-ის ღონისძიებებზე, რადგან არ მომწონს. შესაბამისად ვისურვებდი, უნივერსიტეტში მეტი კონფერენციები, შემეცნებითი, საინტერესო და ინტელექტუალური საღამოები გაიმართოს.

სოფიო თოთიაშვილი:

— ძალიან იშვიათად, რომ რაიმე ღონისძიებას დავესწრო. ან არ მომწონს, რაც ტარდება ან გვიან ვიგებ ინფორმაციას და ვერ ვასწრებ მისვლას. ისე კარგი იქნება, უფრო მეტი გასართობი ღონისძიებები გაიმართოს. უკეთესი იქნება, თუ ღონისძიებებს ყველა სტუდენტის სურვილის გათვალისწინებით ჩატარებენ.

ქეთი პატრიაშვილი:

— არ დავდივარ თსუ-ის ღონისძიებებზე და არც არასდროს ვყოფილვარ. იშვიათად მაქვს ინფორმაცია, ან როცა ჩემთვის საინტერესო ღონისძიებაა, ისეთ დროს არის, როცა არ მცალია. ჩემთვის შემეცნებითი ღონისძიებები იქნებოდა საინტერესო.

მარიამ აბოშვილი:

— იშვიათად დავდივარ უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებზე, რადგან ძირითადად დრო არ მაწყობს — ხან ძალიან გვიანაა, ხან ლექციას ემთხვევა. თუმცა, საკმაოდ მრავალფეროვანი ღონისძიებები ტარდება. არის გასართობიც, მაგალითად, კონცერტები. არის საინფორმაციოც, ელჩებთან ან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები. პირადად ვისურვებდი, უფრო მეტი იყოს დამსაქმებელ და, ასევე, კონფლიქტურ თემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან შეხვედრები.

მოამზადეს მამი საჟიანა და შიქრია შირხაძე



პროფის ბაზრისა თუ სამეცნიერო საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით სტუდენტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბება ნებისმიერი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ტექნოლოგიების განვითარების შედეგად სტუდენტების, მკვლევარებისა თუ სხვა დაინტერესებულ პირთა მიერ ინფორმაციის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე უნივერსიტეტის მიერ ინფორმაციის გადაცემა ისეთი მნიშვნელოვანი აღარაა, როგორც ეს ადრე იყო. დღეისათვის პირველ პლანზე მოპოვებული ცოდნის გადაამუშავება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდების შესწავლა და სტუდენტების, დოქტორანტების თუ თანამშრომლებისათვის მაქსიმალური განვითარების გარემოს შექმნა, რაც მთელს მსოფლიოში შესაბამის სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ ტექნოლოგიურ ქსელში ჩართვას გულისხმობს. ასეთი ეფექტური გარემოს შექმნა ყოველად წარმოუდგენელია ეფექტური, მოქნილი და დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულების გარეშე.

ისწრაფვის რა ამ მიზნის მისაღწევად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებათა დეპარტამენტი წარმატებით გადის აკრედიტაციის ყველა საფეხურის სასწავლო კურიკულუმით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. დეპარტამენტი, დიდი კონკურენციის მიუხედავად, ყოველწლიურად ახერხებს კონტინენტის სრულად შევსებას როგორც საბაკალავრო, ასევე სამსაგისტრო პროგრამაზე საუკეთესო რეიტინგის მქონე აბიტურიენტების, ხოლო კურსდამთავრებულები (და მალაი კურსის სტუდენტები) წარმატებით საქმდებიან როგორც საქართველოში, ასევე საუკეთესო უცხოურ კომპანიებში (Google, Facebook, VMware და სხვა). აღსანიშნავია მათზე მალაი მოთხოვნილება საქართველოს როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე კერძო კომპანიების საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტებში. ყოველივე ამით კიდევ ერთხელ დასტურდება დეპარტამენტში სწავლების მეთოდოლოგიის სწორი შერჩევა, კურიკულუმის მიზნობრივი შედგენისა და სასწავლო პროცესში აკადემიური პერსონალის ოპტიმალური ჩართულობის სწორი სტრატეგია.

სწრაფად განვითარებად, კონკურენტულ გარემოში დარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებათა დეპარტამენტის ჰქონდეს თვით დარგისა და შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების, დამოუკიდებელი საკადრო და სასწავლო პოლიტიკის გატარების საშუალება (მაგ. ინფორმაციის სწავლებაში მუდმივად იცვლება და ვითარდება).

გზავნილი ადმინისტრაციის



ბა როგორც პროგრამული, ასევე აპარატული ტექნოლოგიები. ყოველ 3-5 წელიწადში პროფესორი, რომელიც ასწავლის პროგრამირებას, ალგორითმებს, მონაცემთა ბაზებს, ვალდებულია ხელახლა ისწავლოს ახალი მასალა, მისცეს მას შესაბამისი სახე და ისე გადასცეს სტუდენტს).

ამჟამად არსებული მდგომარეობით დეპარტამენტს, ინფორმაციის სწავლების კურიკულუმებსა და სამეცნიერო კვლევას ხშირად ექმნება პრობლემები გაერთიანებულ - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რაც ძირითადად მისი არაერთგვაროვანი სტრუქტურითაა გამოწვეული. კერძოდ:

ბაკალავრიატის პირველი სემესტრის საგნების არსებული განაწილება მიუღებელია. ერთი მხრივ, იგი წინააღმდეგობაშია ACM-ის Association for Computing Machinery) მეთოდოლოგიასთან (იხ. <http://www.acm.org/>), რომელსაც ითვალისწინებს ყველა წარმატებული უნივერსიტეტი. მეორეს მხრივ, პირველი სემესტრის სრულიად გამოუცდელი სტუდენტი ვალდებული ხდება ერთდროულად ისწავლოს 7 განსხვავებული საგანი, რაც ვერანაირად ვერ ჩაითვლება სტუდენტზე ორიენტირებული მენეჯმენტის დადასტურებად.

ვერ ხერხდება იგივე ACM-ის მეთოდოლოგიის მიხედვით ზოგიერთი დისციპლინის სწავლება ინფორმაციის სპეციალისტისათვის (მაგალითად, წრფივი ალგებრის, კალკულუსის, დისკრეტული სტრუქტურების სწავლება). შევნიშნოთ, რომ ACM-ის მეთოდოლოგია აღიარებულია ამერიკული სააკრედიტაციო საზოგადოების ABET-ის <http://www.abet.org/> მიერ, რომელთანაც ამჟამად ვთანამშრომლობთ ჩვენი საბაკალავრო კურიკულუმის აკრედიტაციისთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესის მართვის ამჟამად მოქმედი სისტემა ხშირად უქმნის პრობლემებს კურიკულუმის განხორციელებას. კურიკულუმის ზოგიერთ საგანზე ფაკულტეტიდან დიდი მოთხოვნა საშუალებას არ იძლევა ოპტიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი აკადემიური პერსონალი და ტექნოლოგიური რესურსი, რაც უარყოფითად მოქმედებს კურიკულუმის შესრულების ხარისხზე (მაგ. კომპიუტერულ მეცნიერების საბაკალავრო კურიკულუმის არჩევით საგნებს მუდმივად ირჩევს სხვა დეპარტამენტების სტუდენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც ზრდის მოსაწვევი მასწავლებლების რიცხვს. მალაიკვლავი ციური პედაგოგების მოწვევა კი გართულებულია მთელი რიგი მიზეზების გამო.)

დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკის გატარების შეუძლებლობა. ყველა დონის სასწავლო პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელი პროგრამის ხელმძღვანელია. შესაბამისად ლოგიკურია, რომ სასწავლო პროგრამები სორციულდებოდეს ხელმძღვანელის მიერ დაკომპლექტებული გუნდის მიერ. რეალურად, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის შემთხვევაში, პროგრამების ხელმძღვანელს ასეთი უფლებები არ გააჩნიათ. უფრო მეტიც, აკადემიური პერსონალის ბოლო კონკურსის შემდეგ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ორი ხელმძღვანელი მუშაობას აგრძელებს მხოლოდ მონწვეული სპეციალისტის სტატუსით.

კურიკულუმების განვითარების შეზღუდული საშუალებები. სასწავლო პროგრამების ამუშავება ინგლისურ და რუსულ ენებზე მოიზიდავდა „ნიჭიერი“ უცხოელი სტუდენტების საგრძნობ ნაკადს, გააუმჯობესებდა უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას, ამაღლებდა საქართველოს, როგორც კავკასიის კულტურული და სამეცნიერო ცენტრის ავტორიტეტს.

სახელმწიფოებო თანამშრომლობის შეზღუდული საშუალება. იმის გამო, რომ დეპარტამენტს არ აქვს ადმინისტრაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა, გართულებულია ფინანსების შემოღობვა უნივერსიტეტი და სტუდენტების ჩართვა კვლევით და სამეცნიერო სამუშაოებში. ასევე შეუძლებელი ხდება ინდუსტრიის წარმომადგენელთა ჩართვა სასწავლო-კვლევით საქმიანობაში ეგრეთ წოდებული „ტექნიკური პარკების“ და „ინკუბატორების“ შექმნის გზით.

გავისხენოთ, თუ რა ძირითადი არგუმენტები დაემატა საფუძვლად თსუ-ში ფაკულტეტების დამსხვილებას და არის თუ არა ეს არგუმენტები ამჟამად ძალაში. იუნესკოს 1997 წლის განათლების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი SCED 1997 (http://www.unesco.org/education/information/nfsunesco/doc/iscsed_1997.htm) რეკომენდაციას იძლეოდა უნივერსიტეტებში მეცნიერების ფაკულტეტი შემდგარიყო შემდეგი დანაყოფებისგან: სიცვლების შემსწავლელი მეცნიერებები; ფიზიკური მეცნიერებანი; მათემატიკა და სტატისტიკა; კომპიუტინგი/ინფორმატიკა. ამჟამად იგივე ორგანიზაციის 2013 წლის სტანდარტი (<http://www.uis.unesco.org/Education/Documents/iscsed-37c-fos-review-22729e.pdf>) ითვალისწინებს იმ სწრაფ ცვლილებებს, რაც დარგმა განიცადა განვლილ პერიოდში და იძლევა რეკომენდაციას, რომლის მიხედვით მეცნიერების ფაკულტეტი უნდა შედგებოდეს წინა კურიკულუმით გათვალისწინებული დანაყოფებისგან გარდა ინფორმატიკისა, რომელიც განიხილება დამოუკიდებელ ერთეულად. ასეთი დაყოფის შედეგად ინფორმაცია თავისისუფლად დამოუკიდებლად შეავსოს სტუდენტთა კონტინენტური და შეიქმნას მყარი ფინანსური გარანტიები, მოახდინოს ადმინისტრაციული ხარჯების მინიმიზირება.

რომლის ფაკულტეტი უნდა შედგებოდეს წინა კურიკულუმით გათვალისწინებული დანაყოფებისგან გარდა ინფორმატიკისა, რომელიც განიხილება დამოუკიდებელ ერთეულად.

ამ სახის სტრუქტურული ცვლილება თავისუფალი განვითარების საშუალებას მისცემდა ფუნდამენტურ მეცნიერებებს, რომელთა სპეციფიკა დიამეტრალურად განსხვავდება კომპიუტერულ მეცნიერებისგან. კომპიუტერულ მეცნიერებათა დიდი პოპულარულობის გამო სტუდენტთა უმეტესობა ჩვენს მიმართულებას ირჩევს და სხვაგან „იძულებით“ მიდის - შესავალ კურსებში სამჯერ ჩაჭრის შემდეგ, რაც სხვა მიმართულებების დონეს საგრძნობლად ადგებს და აფერხებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარებას უნივერსიტეტში.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვანაირი სტრუქტურული ერთეულებია შექმნილი და არსებობს გაცილებით უფრო მსხვილი გაერთიანებებიც, ვიდრე ჩვენთანაა. მაგრამ საჭიროა არა ფორმალური შედარება „დასახელებების“ მიხედვით, არამედ რეალური ანალიზი, თუ რა უფლება და შესაძლებლობა აქვს თითოეულ მიმართულებასა და კათედრას. ასეთი ანალიზის შედეგად ადვილად დაენარჩუნებოდა, რომ ყველა წარმატებულ უნივერსიტეტში კათედრებსა და ვინაო მიმართულებებს სულ ცოტა იმდენი შესაძლებლობა მიეცა აქვე, რამდენიც გააჩნიათ ჩვენთან ფაკულტეტებს. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის წესდებებიდან გამომდინარე, ფაკულტეტზე დაბალი დონის ერთეულს თავისუფალი მოქმედების საშუალება არ აქვს და, აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი ძირითადი პრინციპების გატარება და პრობლემების მოგვარება მხოლოდ მალაი დონის ერთეულშია შესაძლებელი. ამასთან ეს არ შეუქმნის სირთულეს სხვა მიმართულებებს — პირიქით, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისთვის ფუნქციონირება ადვილად მიმართულებას თანხმად შეუნყობს ხელს.

იმედია, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოძებნის არსებული პრობლემების გადაჭრის ეფექტურ გზას.

**მანანა ხაჩიძე,
ალექსანდრა გამყარაძე,
კობა გელაშვილი,
ბიან სირბილაძე,
კომპიუტერული მეცნიერებათა
მიმართულების საბაკალავრო და
სამაგისტრო პროგრამების ავტორები**

დიდი გაცნობა

„დიდი გაცნობა“ — ასე დაარქვეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მალაიკურსელებმა პირველკურსელებთან შეხვედრას, რომელიც პირველი სემესტრის დასრულების პერიოდს დაამთხვავს.

„ხელ მთავრდება სემესტრი, პირველკურსელებმა მეორე სემესტრიდან სპეციალობები უნდა დააფიქსირონ. ვფიქრობთ, ეს საღამო მათ სწორი არჩევანის დაკეთებაში დაეხმარებათ“, — მიმართა დარბაზს წამყვანმა — კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის III კურსის სტუდენტმა მანანა ლორთქიფანიძემ.

ბიან ტორაძე

თეატრ ნაღარაიშვილი

შეხვედრა ტრადიციულ ფორმატს გასცდა. გარდა იმისა, რომ პირველკურსელებმა მოისმინეს ფაკულტეტის 11-ვე საბაკალავრო პროგრამის წარდგინება და გარკვეული წარმოდგენა შექმნათ იმ სამეცნიერო მიმართულებებზე, რომელზე სწავლაც, შესაძლოა, მათ ინტერესებში შედის, მათ იხილეს თავიანთი თანატოლების შემოქმედება და ლექტორები უჩვეულო ამპლუაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველკურსელებთან შეხვედრა ამ ფორმატით პირველად შედგა.

შეხვედრა თამაშ მუშაობის მიერ ვაჟა აზარაშვილის სენტიმენტალური ტანგოს ვილინოზე შესრულებით დაიწყო. ყველა მიმართულების პრეზენტაციას კი ამ მიმართულების სტუდენტთა და ლექტორთა შემოქმედება მოჰყვებოდა, რაც იმის დასტურია, რომ უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ლექციები და გამოცდები, უნივერსიტეტი სტუდენტური ცხოვრებაა, რომელშიც ისევე აქტიურად უნდა ჩაერთოს ახალგაზრდობა, როგორც სასწავლო პროცესში.

საღამოს ერთერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნომერი ბიოლოგიის დეპარტამენტის წარდგინების შემდეგ (წარმდგენი ბიოლოგიის

დეპარტამენტის სამეცნიერო წრის თავმჯდომარე ნინო ოგანეზოვი) პროფესორ დიანა ძიძიგურის მიერ სტუდენტებთან ერთად შესრულებული მუსიკალური ნომერი გახლდათ. ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ახალგაზრდობასთან ერთად სცენაზე იდგა მკაცრი და მოთხოვნი ლექტორი, რომელიც რაჭულ „ლაღეს“ „ბანებში ჩამდგარი“ საიმოვნებით ასრულებდა.

სცენას ამშვენებდნენ მომღერალი სტუდენტები: ვალიკო ქასოვი, თამარ ნებიერიძე, მარიამ მაშაიშვილი, ელენა ბაცანაძე და მედეა აბრამიშვილი.

მათ გამოსვლას მოჰყვა ფიზიკის დეპარტამენტის პრეზენტაცია, რომელიც პირველკურსელებისთვის გააკეთა ფიზიკოსთა კლუბის თავმჯდომარემ ლუკა პონტიაკოვსკიმ. იგი სცენაზე ფიზიკის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა თეიმურაზ ნადარეიშვილმა ჩაანაცვლა, რომელმაც დარბაზს საკუთარი თარგმანები გააცნო.

პირველკურსელებმა სტუდენტებმა შალვა ლეკიაშვილმა და ვაკო ჯინჭარაძემ ქართველ პოეტთა ლექსები წაიკითხეს და დარბაზში პოეტური სული გააცოცხლეს. მსატერულ კითხვას ისევ სიმღერა ჩაენაცვლა, სიმღერას კი მიმართულების პრეზენტაცია.

ქიმიის მიმართულების სტუდენტებმა — ნათია ქარჩაძე და თეონა ორჯონიძემ პირველკურსელებს ქიმიის, როგორც სპეციალობის უპირატესობები გააცნეს და შემდეგ მათ ლექტორს რამაზ გახოკიძეს უხმეს, რომელმაც ფაქტობრივად ფურორი მოახდინა. ბატონი რამაზის პროფესიონალური დამოკიდებულება კლასიკური მუსიკისადმი უცხო არ არის (იგი მრავალი კონკურსის გამარჯვებული და ამავე დროს უნივერსიტეტის ჰიმნის ავტორია) მაგრამ მის მიერ როიალზე ვირტუოზულად შესრულებულმა სოტ ჯოლინის „entertainment“-მა სტუდენტთა დიდი ოვაციები დაიმსახურა.

საკუთარი ესსეები და ლექსები წაიკითხეს ქიმიის მიმართულების II კურსის სტუდენტმა დავით ორჯონიძემ და ახალგაზრდა პოეტმა დიმიტრი ამილახვარმა.

გეოლოგიის დეპარტამენტი წარადგინა III კურსის სტუდენტმა ანა მარტყოფიშვილ-

მა, რომელმაც ამ მეცნიერების საინტერესო მხარეებზე ისაუბრა. მისი სიტყვები კიდევ უფრო გაამყარა პროფესორმა ზუჟან თუთბერიძემ და პირველკურსელებს მოუწოდა მეტი ინტერესით მიეკიდებინათ გეოლოგიის შესწავლის პერსპექტივას.

გეოლოგიის დეპარტამენტის წარდგენას ძალიან მოუხდა მარიამ მაშაიშვილის მიერ შესრულებული რუსულად სებისკვერადის სიმღერა „მხარე ლამაზი“.

გეოგრაფიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა გიორგი გულიაშვილმა და ასისტენტ პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა წარმოადგინეს.

მათ დარბაზთან ერთად ნუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სტუდენტთა საყვარელი ლექტორის თენგიზ დეკანოიძის სხოვნას.

2013 წელს ამ ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ ერთერთ უსახელო მღვიმეს და მყინვარს უნივერსიტეტის 95 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა სახელწოდება „უნივერსიტეტი 95“. გეოგრაფებმა ასევე ისაუბრეს იმის შესახებ, რომ აეროკოსმოსური დაკვირვების შედეგად ერთერთ ქედზე ყოფილი მყინვარის ადგილას აღმოჩენილია ახალი უსახელო ტბა, რომლის შესწავლასაც გეოგრაფიის ფაკულტეტის მეცნიერები და სტუდენტები, სხვა ფაკულტეტებთან ერთად აპირებენ. მიმართულების პრეზენტაცია დაამშვენა I კურსის სტუდენტის თორნიკე თეაგორის მუსიკალურმა ნომერმა და ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტის თეა კალანაძის მიერ შესრულებულმა სიმღერამ „Hallelujah“.

ამის შემდეგ სცენა დაიკავეს მათემატიკოსებმა ნატალია ნეზულიშვილმა და გიორგი რუხაია. სტუდენტებს მიმართეს მათემატიკის დეპარტამენტის დოქტორანტიკებმა მათა სვანაძემ და გიორგი ტენაძემ, ასევე, გასული წლის კურსდამთავრებულმა, სინგაპურის უნივერსიტეტის მაგისტრმა ანა ნუსხელაძემ. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, დახმარება გაუწიონ პირველკურსელებს სწორი არჩევანის გაკეთებაში; ბოლოს სცენაზე დეპარტამენტის ხელმძღვანელს ასოცირებულ პროფესორ მარ ფურთუხიას უხმეს.



ფრიდონ თოდუა: „სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება გახდეს“

ქიმიკის თვისებები თავად არ ეკუთვნის — ამბობს აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, რომელსაც წელს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მიუხედავად იმისა, რომ უკან დიდი შრომისა და მიღწევების შვიდი ათეული წელი დარჩა, ბატონი ფრიდონი კვლავ ენთუზიასტურად არის სავსე და დარწმუნებულია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები ჯერ კიდევ წინ ელის!

— ბატონო ფრიდონ, რამ გადაგანკვეთინათ შეგესწავლათ მედიცინა და ექიმი გამხდარიყავით?

— ექიმები ოჯახში არ მყავდა, ანუ პროფესია მშობლების მიზანძვით არ ამირჩევია. ექიმობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს ყველაზე კეთილშობილი პროფესიაა ამ ქვეყნად. მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ შემპარვია ექვი ჩემი არჩევანის სისწორეში. ცხოვრებამ მაჩვენა, რომ ექიმობა მართლაც პროფესია არ არის. ეს ცხოვრების წესია და ამ წესს თუ ირჩევ, მზად უნდა იყო, რომ ფაქტობრივად, შენი ცხოვრება შენ აღარ ეკუთვნის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყო კარგი ექიმი.

— რას გაიხსენებდით თქვენი ბავშვობიდან — სად დაიბადეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები და როგორ დაახასიათებთ იმ პერიოდს?

— დავიბადე ზუგდიდში, როგორც მაშინ იტყოდნენ, ინტელიგენტების ოჯახში. ერთი შემიძლია ვთქვა, ჩემი მშობლები იყვნენ ძალიან პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ ასეთებად აღზარდათ თავისი შვილებიც, ხელი შეეწყობათ ჩვენთვის, მოეცათ კარგი განათლება და, ვფიქრობ, ამისთვის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს.

— თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ საექიმო და სამეცნიერო საქმიანობა მოსკოვში, აკადემიკოს ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში განაგრძეთ, რომელიც საკავშირო მნიშვნელობის სამედიცინო-კვლევითი ცენტრი იყო. როგორ ხდებოდა მაშინ უმაღლესდამთავრებულთა განაწილება და რამ განაპირობა თქვენი მოსკოვში გადასვლა?

— მოსკოვის ა. ვ. ვიშნევსკის ქირურგიის ინსტიტუტი ითვლებოდა მედიცინის ტაძრად მაშინდელ სამედიცინო საზოგადოებაში და მართლაც ასე იყო. იქ მოხვედრა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის იყო რეალურად დიდი შანსი წინსვლისა და განვითარებისთვის.

მოსკოვის ქირურგიის ინსტიტუტში ჩემი მოხვედრა ერთმა შემთხვევამ განაპირობა:

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ზაფხულობით ზუგდიდში ჩავდიოდი და, რადგან ქირურგობას ვაპირებდი, ვცდილობდი რაიონულ საავადმყოფოში მემუშავა: ვებმარებოდი ოპერაციებზე, ვმორიგებოდი. მოკლედ, მომავალ პროფესიას ვირგებდი... ერთხელაც საავადმყოფოში სასწრაფოდ შემოიყვანა უბედური შემთხვევის გამო დაშავებული ახალგაზრდა მამაკაცი. ზუსტად იმ დროს სოხუმში აკადემიკოსი ალექსანდრე ვიშნევსკი ისვენებდა, რომელიც მოსკოვის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო. პაციენტის და, ალბათ, ჩემს ბედად, მინისტრის თხოვნით, ვიშნევსკი საოპერაციოდ მოიწვიეს. მაშინ VI კურსის სტუდენტი ვიყავი და შესაძლებლობა მომეცა ასისტენტად ვმდგარიყვი ამ დიდი ქირურგის გვერდით. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შეხვდები მას. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა (თუნდაც მეგობრული ურთიერთობა, თუ ეს ხმაამალ ნათქვამად არ ჩამეთვალა). შესაძლოა, ჩემმა მამამიდგმა ენთუზიასტურად და ახალგაზრდულმა შემართებამ მოიგო სახელოვანი პროფესორის გული, თუმცა, შესაძლოა, ამდგარი არაფერი ყოფილა, მაგრამ ფაქტია, რომ წლების შემდეგ თავად მქონდა განცდა, რომ უპირატესობა მქონდა ორდინატორობის სხვა კანდიდატებთან შედარებით. იქნებ, არც მქონია ეს უპირატესობა, მაგრამ ხომ იცით, საკუთარი თავის რწმენა ძალიან ბევრს ნიშნავს და მართლაც გავხდომოსკოვის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის ექიმი ორდინატორი.

— მოსკოვში მუშაობისა და ცხოვრების პერიოდს როგორ გაიხსენებთ? რა სირთულეების გადალახვა უხდებოდა იმ პერიოდში და მწვერულს მისაღწევად ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მხარში გეჭერდნენ?

— მოსკოვში ცხოვრება და მუშაობა, ცხადია, იოლი არ იყო და ამას არც ველოდი. ექიმის და, მით უმეტეს, ქირურგის ცხოვრება რთულია, მაგრამ უდავოდ დიდი ენერჯის წყარო და სტიმული იყო მედიცინის კორიფების გვერდით ყოფნა.

21 წლის ვიყავი, როცა მოსკოვში წავიდი. დავიცავი საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები, გავხდი პროფესორი, სახელმწიფო



პრემიის, აგრეთვე სხვა პრესტიჟული ჯილდოების მფლობელი და ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ უდიდეს ადამიანებთან და პროფესიონალებთან, ცოცხალ ლეგენდებთან ერთად მიხედვოდა მუშაობა.

— ჯერ კიდევ მოსკოვში საქმიანობის დროს თქვენ პირველმა ჩამოაყალიბეთ კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილება. ეს ძალიან საინტერესო და ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო მაშინდელ მედიცინაში. საინტერესოა, როგორ მოხდა ამ განყოფილების შექმნა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა საბჭოთა მედიცინაში?

— დიას, ნამდვილად ვიყავი ერთერთი პირველთაგანი, ვინც საბჭოთა კავშირში კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩაუყარა საფუძველი. ახლახან მოსკოვში გამოცა წიგნი, სადაც დეტალურად არის გადმოცემული კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების შექმნის ისტორია.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1980 წელს მიმავლინეს გერმანიაში მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც პირველად ვნახე მაშინდელი სამედიცინო ტექნიკის სასწრაფო — კომპიუტერული ტომოგრაფია და მოსვენება დავკარგე. მოსკოვში დაბრუნებისთანავე მოვუყვი ნანახის შესახებ ქირურგიის ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორს, აკადემიკოს მ. ი. კუზნის, რომელიც ძალზე პროგრესული ადამიანი იყო და კარგად იცოდა კომპიუტერული ტომოგრაფიის შესაძლებლობა და მნიშვნელობაც, თუმცა, ცხადი იყო, რომ მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე ასეთი აპარატურის შემოტანა არ მოხერხდებოდა. მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ბევრი მეგობარი გავიჩინე, მათ შორის ვიქტორ გოლოკოვიც იყო, რომელიც მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანამშენებელ მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი სტუმრობისას, მოვეყვი კომპიუტერული ტომოგრაფიის შესახებ და სწორედ აქედან გადაიღვა პირველი ნაბიჯები, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში ქვეყანაში პირველი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების შექმნამდე.

ამის შემდეგ ჩემი მეორე პროფესია გახდა მშენებლობა, მომიხდა გავმხდარიყვი მეურნეც, მომმარაგებელიც. მერწმუნეთ, არ იყო ადვილი, მაგრამ უდიდესი სიამოვნება მიღწეული წარმატების, განხორციელებული გეგმების, საკუთარი შრომის ნაყოფის ხილვა. წარმოუდგენელი აფიოტაჟი გამოიწვია ამ ფაქტმა: ნამდვილ ფანტასტიკად აღიქმებოდა მედიცინის ეს ახალი სფერო. რამდენი კოსმონავტიც გაფრინდებოდა, აუცილებლად ვნახულობდით კომპიუტერულ ტომოგრაფზე. კულტურისა და მეცნიერების ყველა ცნობადი სახე ჩემი პაციენტი იყო. მიხედვით ურთიერთობა სახელმწიფო მოღვაწეებთან.

— 90-იან წლებში საქართველოში დაბრუნდით. რამ განაპირობა თქვენი დაბრუნება?

— 9 აპრილმა უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე. ეს იყო უმძიმესი შოკი, სტრესი. ამავე დროს, რეალურად ისახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობა. სწორედ ამ დროს გადავწყვიტე დაბრუნებულიყვი სამშობლოში და მეც ვყოფილიყვი მონაწილე ამ ისტორიული პროცესებისა.

დაიბადა 1944 წელს, ქალაქ ზუგდიდში. 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1968-1990 წლებში მუშაობდა მოსკოვის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა რიგითი მეცნიერ-თანამშრომლიდან სსრკ-ში პირველად მის მიერ შექმნილი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სოლო 1984 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1988 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1991 წელს დააარსა და დღემდე სათავეში უდგას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის. 1998 წლიდან ხელმძღვანელობს სამედიცინო აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრას ენდოსკოპიის კურსით. 1998 წლიდან დღემდე არის საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი (საქინალმა — „სამედიცინო რადიოლოგია და რენტგენოლოგია“). 1999 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. 1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, სოლო 2001 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად. 2004-2013 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. ამჟამად არის აკადემიის ფილოსოფიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. 2008-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. პროფესორი ფრიდონ თოდუა დღემდე თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრია. არის 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 12 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის, 2 მონოგრაფია გამომქვეყნებულია საზღვარგარეთ, მიღებული აქვს 5 საპატენტო და 15 საპატენტო მოწოდება გამომგონებაზე, არის 70-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, 200-ზე მეტი სწავლავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. არის არაერთი პრემიის, ორდენისა და მედლის მფლობელი, ასევე მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფაქტობრივი, სახელმწიფო კომისიებისა და სხვადასხვა საბჭოს წევრი.

— როგორ შეიქმნა კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ინსტიტუტის შექმნას ქართველი მედიცინისთვის და ჯანდაცვის სისტემისთვის?

— 1990 წელს გადაწყდა ამიერკავკასიის დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნა. ამასთან დაკავშირებით მქონდა მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობის წევრებთან. დაპირებები ბევრი იყო, მაგრამ, რეალურად, იცით, რაც ხდებოდა იმ დროს საქართველოში. გარდაქმნის პერიოდი ურთულესი აღმოჩნდა... კრიზისი, უშუქობა, ეკონომიკის, მეურნეობის, ურთიერთობების ნგრევა... ბევრი ქართველი სპეციალისტი თუ პროფესიონალი — დიდი იმედებით დაბრუნებული საქართველოში, იმ დროს იძულებული გახდა, რუსეთში წასულიყო.

მე კი, მიუხედავად ყველაფრისა, დავრჩი. სხვათა შორის, ჩემი კოლეგები მთხოვდნენ მოსკოვში დაბრუნებულიყვი, მაგრამ ადამიანურად არ მინდოდა ასე იოლად დამეთმო ჩემი იდეა და მიზანი. ზოგადად, ყოველთვის ვთვლიდი, რომ როგორი წარმატებული და დაფასებულიც უნდა იყო, სრულყოფილი პროფესია მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება გახდეს. რალა დაგიმალათ და, მეც მქონდა სისუსტის მომენტები: თბილისში ჩამოსვლისას ერთი თეთრი თმა არ მქონდა, ერთ წელსწინადაც სულ გავცხლარავდი! მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება თავიდან დაიწყო, ცოლშვილთან ვცხოვრობდი ნაქირავებ ბინაში. მიძიმე დრო გამოვიარეთ, მაგრამ მოთმინებამ, რწმენამ, შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო, როგორც ყოველთვის...

— რა სიახლეების დანერგვას აპირებთ მომავალში თქვენ მიერ დაარსებულ კლინიკურ მედიცინის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში?

— სიახლეების გარეშე ცხოვრებას ინტერესი არ აქვს. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოვედინდებდე. მხოლოდ საზოგადოებისა და პაციენტების მოთხოვნა განსაზღვრავს ჩვენ მიერ რამეც შექმნა-არქმენის საკითხს. წარმოდგენით, საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება 8 000 ახალი ონკოლოგიური პაციენტი, რომელთაგან 300-მდე ბავშვია. ასეთი პაციენტების გამოვლენის სისხირე თანამედროვე და ზუსტი კვლევის გამოყენების წყალობით განუხრელად იზრდება. განკურნების ერთადერთი გზა დაავადების დროული გამოვლენა და მკურნალობა. სხვადასხვა მონაცემებით, ასეთი პაციენტების 70-80%-ს სხივური თერაპია ესაჭიროება, რომელთა უმრავლესობა ან საზღვარგარეთ მიდის, ან საერთოდ მკურნალობის გარეშე რჩება.

შეუძლებელია, გვერდი აუარო ჩვენს ახალ პროექტს, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისათვის განკუთვნილი ბოლო თაობის საუკეთესო აპარატებს შემოვიტანოთ საქართველოში. ეს გახლავთ ცნობილი ამერიკული ფირმის „ვარიანის“ ნარმოების „თრუბის“ მოდელის მაღალი ენერჯის სხივური ამაჩქარებლები, რომელთა შექმნასაც უკვე მოეწერა ხელი. სულ მალე ამ ტიპის 2 აპარატი შევა ექსპლუატაციაში. ვიციყოდი, რომ ეს ნამდვილად ეროვნული საქმეა, ვიდრე კომერციული პროექტი, თუმცა, მის განხორციელებაში არაერთი მილიონია ჩადებული.

წინ კიდევ ახალი პროექტებია, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი, მაგრამ ვფიქრობ, მათ შესახებ ცოტა მოგვიანებით დავაწარმოვებ. გარწმუნებთ, ნაკლებ ინტერესს არ გამოიწვევს.

— მედიცინისა და მეცნიერების გარდა, თქვენ ყოველთვის აქტიურად იყავით ჩართული საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკური დაინტერესება?

— დიას, იყო ასეთი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი საქმე მაინც მედიცინაა. არაერთხელ მითქვამს, რომ არ ვარ პოლიტიკოსი, ვარ ექიმი, მინდა ვაკეთო ჩემი საქმე და ვიზრუნო ჩემს ხალხზე, მაგრამ დრომ თავისი მოითვანა და აღმოჩნდა, რომ ხალხის ინტერესებზე ზრუნვა სხვა გზითაც შეიძლება და უფრო ქმედითადაც. ვთვლი, რომ ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად იყო გარკვეული სკოლა, შევიძინე ახალი გამოცდილება, თუმცა მიმაჩნია, რომ მედიცინა, ადამიანის ჯანმრთელობა ყოველთვის და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ექიმობა მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროა, ვიციყოდი, ერთგვარი მონოდებაა — თუ ამ პროფესიის არჩევას არ გრძნობ, რომ მზად ხარ შენი ცხოვრება, ზოგჯერ სასიცოცხლო ინტერესებიც კი დათმო სხვა ადამიანზე ზრუნვის სანაცვლოდ, მაშინ სჯობს — სხვა გზით წახვიდე. თუმცა, რასაც უნდა აკეთებდე — ადამიანებს უწრავდე, ქვეყანას მართავდე თუ ეზოს ასუფთავებდე, ყველაფერი სინდისიერად და გულით უნდა გააკეთო.

პარლამენტში ჩემი ყოფნის პერიოდში, ძალიან არ დამიშურებია ჩემი მოვალეობების შესასრულებლად. მიხარია, რომ ზუგდიდში ჩემი ძალისხმევით ბევრი რამ გაკეთდა და ვამაყობ, რომ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი ვიყავი.

სახელმძღვანელო ჟურნალისტიკისათვის ქართულ-ფრანგული ერთობლივი პროექტი

„ამ წიგნის მიზანია, შეაძლებინოს სტუდენტს ჩასწვდეს თავისი პროფესიის ევოლუციას საქართველოს განსაკუთრებულ კონტექსტში“.

ტერი კომი, ფილოსოფიის დოქტორი, რემის-შამპან-არდენის უნივერსიტეტის პროფესორი, საფრანგეთი

პირველი გვერდიდან

სტუდენტებისთვის ქართულ ენაზე მომზადებული თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელო დღემდე ჩვენი უმაღლესი განათლების აქილევსის ქუსლია. დეფიციტს, უკეთეს შემთხვევაში, უცხოური ავტორების მიერ შემკული ტექსტების თარგმნით შევლიან, უარეს შემთხვევაში კი კვლავ საბჭოთა პერიოდში გამოცემული სახელმძღვანელოებით ავსებენ. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის წლებში ჩვენი ჟურნალისტიკა საკმაოდ განვითარდა და სპეციალობაზეც დიდი მოთხოვნაა, დღემდე სტუდენტებს ორიოდ ნათარგმნი სახელმძღვანელოს დახმარებით შეეძლოთ ჟურნალისტიკის საფუძვლების და თეორიის შესახებ ცოდნის მიღება.

სახელმძღვანელოს მნიშვნელობის შესახებ ლაკონურად და პათეტიკის გარეშეა ნათქვამი ამერიკელი პროფესორის რიქ რო-ჩუელის რეცენზიაში: „თითოეული ქვეყანა და კულტურა ქმნის საკუთარ ტიპის ჟურნალისტიკას. ამიტომაც, მოცემული ტექსტი, რომელიც ასახავს ამ მუდმივად ცვალებადი პროფესიის დინამიკურ ხასიათს, წარმოადგენს განათლების გასაღებს ამ ტერიტორიაზე“.

სახელმძღვანელოს პირველ თავში, ზოგადად, ჟურნალისტიკასა და მისი განვითარების ეტაპებზე საუბრობს პრესის წარმომომადგენელ თანამედროვე ინტერმედიაში; მომდევნო თავი უკვე ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღევანდელამდე.

შემდგომ თავებში აღწერილია მედიის, ჟურნალისტიკის, ჟურნალისტიკის სისტემების, სიტყვის თავისუფლების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, გლობალიზმის კონტექსტში მედიის ადგილისა და მედია-საშუალებების ეკონომიკური მოდელები. ტექსტი მთლიანად გაჯერებულია ჩვენთვის ნაცნობი გამოცდილებით და სახელებით,

შესაბამისად, ბევრი რამ გაცილებით ადვილად გასაგებია და, რაც მთავარია, სწორედ ჩვენებური გამოცდილების გაცოცხლება იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად იგრძნოთ ჟურნალისტიკის ადგილი საქართველოს ახალი ისტორიისა და საზოგადოების ფორმირების პროცესში.

თუმცა, სახელმძღვანელოს უნიკალურობა მაინც მისი შექმნის პროცესსა და ავტორების დამოკიდებულებას უკავშირდება: მთელი სახელმძღვანელო ყოველგვარი „ზევიდან“ დაკვეთისა და საგრანტო თუ გაყიდვების შედეგად შემოსული ანაზღაურება-ჰონორარის გარეშე, შიშველი ენთუზიაზმის წყალობით შეიქმნა. თუ ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, იდეის ავტორთან, მარინე ვეკუასთან ამ თემაზე საუბრისას ილია ჭავჭავაძის „ხუთშაბათობები“ გამახსენდა, როდესაც მამინდელი პატრიოტი და განათლებული საზოგადოება ილიას დიდ სახლში ჩაიხვეწა და საზოგადოებისთვის მტკიცედ და აქტუალურ საკითხებზე სამსჯელოდ იკრიბებოდა.

„ქართულ-ფრანგული ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტის იდეა 2010 წელს გაჩნდა სლოვაკეთში ყოფნისას, სადაც ჟან მონეს ინტერდისციპლინარული სწავლების საერთაშორისო ჯგუფის წევრები ვიყავით შეკრებილები. ჯგუფი ნელინადში ერთხელ იკრიბება ევროპის რომელიმე ქვეყანაში. იქ მიმდინარე შეხვედრა ბატონ ჟილ რუსესთან, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის პროფესორთან, რომელიც ექსპერტადაა ჩართული საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმების ჯგუფში და, შესაბამისად, კარგად იცნობს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეს. შეხვედრისას ბატონი რუე ჟურნალისტიკის სწავლების საკითხებით დაინტერესდა. საუბრისას აღვნიშნე, რომ ჩვენში ცოტაა სასწავლო ლიტერატურა და ძირითადად „აირექსისა“ და GIPA-ს (საქართველოს საზოგადოებრივ

საქმეთა ინსტიტუტი) ინიციატივით თარგმნილი სახელმძღვანელოებით შემოვიფარგლებით, რაც, თავისთავად, საინტერესოა, მაგრამ არასაკმარისი. ამ შეხვედრისას ბატონ რუეს შევთავაზე, შეერჩია რომელიმე ფრანგული ტექსტი, რომელსაც შემდეგ ქართულად ვთარგმნიდით.

ჩვენი საუბრიდან მეორე დღეს ბატონმა რუემ მითხრა, რომ გადახედა სხვადასხვა მასალას და ერთ აზრამდე მივიდა: წიგნები, რომელთა თარგმაც მიზანშეწონილია, დაწერილია ისეთივე პროფესორების მიერ, როგორებიც ჩვენ ვართ და შემოთავაზა, თავად შეგვექმნა სახელმძღვანელო ქართული ჟურნალისტიკისთვის. მე ასეთი ტვირთის აწევას მარტო ვერ გავებდავდი, შესაბამისად, თბილისში დაბრუნებისთანავე შევკრიბე ჯგუფი და შევედუქე მუშაობას, — აღნიშნა ჩვენი თან საუბარში მარინე ვეკუამ.

წიგნის ერთერთი ავტორის თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პედაგოგის თეა მჟავანაძის თქმით, ბოლო დრომდე პრობლემას ქმნიდა ის ფაქტი, რომ არ არსებობდა საგანზე ორგანულად მორგებული სახელმძღვანელო: „ის სახელმძღვანელოები, რომლებსაც დღემდე ვიყენებთ, ამერიკული გამოცდილებითაა შექმნილი, რაც ჩვენს პრობლემასაც და სინამდვილეს ვერ აღწერს. მუდმივად იყო საუბარი იმის შესახებ, რომ აუცილებელია სახელმძღვანელოს მომზადება, თუმცა, ამ იდეის განხორციელება ვერ ხერხდებოდა. მარინე ვეკუას ინიციატივით, დავიწყეთ შეკრებები და იმ მიმართულებებზე მუშაობა, რომლის სპეციალისტებიც ვიყავით. მაგალითისთვის, ჩემი სპეციალიზაცია არის რადიო, ვიღაც ახალ ამბებზე მუშაობს, ვიღაც გამოძიებაზე, ასე შეიკრა ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრებისთვის ქალბატონი მარინე სპეციალურად ემზადებოდა და მათ მეგობრული შეხვედრების სახეს აძლევდა. თავიდან სახელმძღვანელოს კონცეფცია და ფორმა ჩამოვყავალიყობთ, განვსაზღვრეთ, თუ როგორი გვინდოდა ყოფილიყო და ვის რისი გაკეთება შეგვეძლო. შემდეგ დაიწყო წერის პროცესი. კვლავ მარინასთან ვიკრიბებოდით და ვკითხულობდით ჩვენს მიერ მომზ-



ადებულ თავებს. ძნელი წარმოსადგენია, რა ხდებოდა: ყველაზე დიდი ცენზორი იყო პაატა ნაცვლიძე, რომელიც საკუთარ რეცენზიაში ამბობს კიდევ, რომ წიგნი არ ნაუკითხავს, რადგან ყველაფერი არაერთხელ მოისმინა. მიიღოდა კამათი თითოეულ სიტყვაზე, ტერმინოლოგიაზე, საბოლოოდ შევეთანხმდით, რომ სახელმძღვანელოში ყველა ავტორს საერთო ტერმინოლოგია გამოგვეყენებინა, მაქსიმალურად შევეცადეთ უარი გვეთქვა უცხო სიტყვების გამოყენებაზე. ამ ყველაფერმა დიდი დრო წაიღო, თუმცა, შეხვედრები ძალიან საინტერესო და სახალისო იყო.

სამომავლოდ, ვფიქრობთ, რომ სახელმძღვანელოს პრაქტიკული ნაწილიც დავურთოთ, რაც კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის ნაშრომს. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის შესწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჟურნალისტიკის საფუძვლების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა მიიღონ“ — აღნიშნა თეა მჟავანაძემ.

მომზადდა ლალა კურდღელაშვილმა

ზამთრის სკოლა — „შესავალი ციფრულ ფილოლოგიაში“

საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება სწავლებისა და კვლევის ხარისხს და შედეგებს გააუმჯობესებს. ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევითი მეთოდების გამოყენება-დანერგვის მიზნით თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტისტიკის ინსტიტუტში უკვე დაიწყო მუშაობა. ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევითი მეთოდები ევროპის სამეცნიერო წრეებში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინების კომპიუტერული ტექნოლოგიებით კვლევისა და სწავლებას ითვალისწინებს. სწორედ ამ მიზნით, 2013 წლის 15-18 დეკემბერს თსუ-მ უმასპინძლა ზამთრის სკოლას — „შესავალი ციფრულ ფილოლოგიაში“, რომელიც განკუთვნილია თსუ-ის, ბათუმისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.

თამარ ღაღინი

ზამთრის სკოლის ფარგლებში ლექცია-სემინარები ჩატარებს ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების დეპარტამენტის მკვლევარებმა: მონიკა ბერტიმ და სიმონა სტოიანოვამ (გერმანია). ზამთრის სკოლა დაფინანსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროექტის ავტორია უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი, ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია, ხელმძღვანელი კი თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მაია შუხოშვილი.

ზამთრის სკოლის მიზნებია: თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების უმნიშვნელოვანესი და ინტერდისციპლინარული სფეროს — ციფრული ფილოლოგიის საფუძვლების, მისი მიზნებისა და ამოცანების, ძირითადი ცნებების, ტერმინებისა და მეთოდების სწავლება; სტუდენტებისთვის თანამედროვე ციფრული და ინტერდისციპლინარული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარის გა-

მომუშავება. ასევე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე ინტერდისციპლინარული მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა. „ციფრული ფილოლოგია მოიცავს თანამედროვე ფილოლოგიური კვლევების განხორციელებისას სპეციალური კომპიუტერული მეთოდების გამოყენებას. ამ მეთოდით ჩვენ ვიღებთ გაცილებით უფრო სრულყოფილი კვლევის შედეგებს და მცირე დროში მეტი მოცულობის მასალის დამუშავების საშუალებაც გვეძლევა. ამ გზით იზრდება კვლევის პროდუქტიულობა, ეფექტურობა, ხარისხი, ინტერდისციპლინარულობა და კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება უფრო ფართო საზოგადოებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ჩართულია ასეთი მიმართულების პროექტში. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც თსუ გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით ორ პროექტს ახორციელებს. მათი



პარტნიორია ლაიფციგის უნივერსიტეტი, სადაც ამ მიმართულებით ერთი სემესტრის განმავლობაში უკვე მოისმინენ 5-კრედიტიანი კურსი. აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე სასწავლო კურსი წაიკითხეს მათ თსუ-ის სტუდენტებისთვისაც, — განაცხადა უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე დარჩიამ.

პროექტში მონაწილე სტუდენტები გარკვეული კრიტერიუმებით შეირჩნენ. ესენი იყვნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 8 სტუდენტი და 5 სტუდენტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ხოლო თსუ-დან მასში მონაწილეობდა 33 სტუდენტი (განსაზღვრული 24 სტუდენტის ნაცვლად), მათ შორის თავისუფალი მსმენელებიც. პროექტის დასრულების შემდეგ მათ სერტიფიკატები გადაეცათ.

„ჩვენ ქართველ კოლეგებთან ერთად შეგვიძლია ვიზრუნოთ, რომ კლასიკურ ფილოლოგიას მდგრადი

მომავალი ჰქონდეს, გამოვიკვლიოთ როგორ განვავითაროთ ეს მიმართულება და როგორ აღვზარდოთ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები XXI საუკუნეში ისე, რომ არ დაკარგოთ ანტიკურობა და ტრადიციული ლირიკულობები.

ციფრული ფილოლოგიის საკითხებით თავიდან პროფესორი ირინე დარჩია დაინტერესდა, რომელიც ტაფტის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიისა და ინფორმატიკის პროფესორის, პერსევსის ციფრული ბიბლიოთეკის მთავარი რედაქტორის გრეგორი ქრეინის მიწვევით იყო ლაიფციგის უნივერსიტეტში, სადაც ჩვენს საქმიანობას გაეცნო. ამის მერე გადავწყვიტეთ, რომ თსუ-სთან გვეთანამშრომლა. აღფრთოვანებულნი ვართ ქართული სტუდენტების მომზადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურით და იმედია, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც ნაყოფიერი იქნება“, — განაცხა-

და ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერების დეპარტამენტის მკვლევარმა მონიკა ბერტიმ.

ქართველი სტუდენტების მომზადების მალალ დონეზე ისაუბრა ამავე უნივერსიტეტის მკვლევარმა სიმონა სტოიანოვამ. მან მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას მონვევისთვის და აღნიშნა, რომ: „შემდგომი მუშაობის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია ქართველი კოლეგების, სტუდენტების მოსმენა. მარტო სტუდენტები კი არ სწავლობენ ჩვენგან, ჩვენც ვსწავლობთ სტუდენტებისგან. იმედია, ერთობლივი მუშაობა ქართველ კოლეგებთან კიდევ უფრო შედეგიანი იქნება“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ერთობლივი პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, სერიოზული შემოთავაზება აქვს ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების დეპარტამენტისგან და ტაფტის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტისგან.

პერსევსის ციფრული ბიბლიოთეკის მთავარმა რედაქტორმა გრეგორი ქრეინმა ასევე გამოთქვა ინიციატივა, რომ ქართველი კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები ჩაერთონ „ლაიფციგის ლია ფილოლოგიის პროექტში“, რათა პერსევსის ციფრული ბიბლიოთეკის ერთერთი ენა ქართული კულტურისა და სამეცნიერო აზრის პროპაგანდას საზღვარგარეთ, საქართველოში კი სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ქართველი მეცნიერების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.



„თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ რეკომენდაციები ახალგაზრდული პოლიტიკის შესაფუძვლებლად

საქართველოში ახალგაზრდების პრობლემების მოგვარების მიზნით აუცილებელია ადეკვატური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება — აღნიშნული დასკვნა-რეკომენდაცია მოცემულია „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მეტრეველის მიერ მომზადებულ პოლიტიკურ დოკუმენტში — „სტუდენტური გაერთიანებების როლი სოციალიზაციის ინსტიტუტის განმტკიცებაში“. დოკუმენტში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში ახალგაზრდების წინაშე არსებული სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებად გამოყოფილია: დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა, ნარკომანია და ტოქსიკომანია, სოციალური მდგომარეობა, ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი დონე. კვლევაში ასევე მოცემულია ის მიზეზები, რამაც აღნიშნული ვითარების შექმნას შეუწყო ხელი და რის გამოც ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში ახალგაზრდა თაობის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება ვერ მოხერხდა. ნიკოლოზ მეტრეველმა კვლევა სასწავლო მოდულის „პოლიტიკის ანალიზი & პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა“ ფარგლებში, თსუ-ის რექტორის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით განახორციელა.

ნატო მობლავაძე

„ეკონომიკურმა კრიზისმა, სამოქალაქო ომმა, სეპარატიზმმა კიდევ უფრო გააძლიერა ქართველი ახალგაზრდობის სოციალური დიფერენციაცია. ცნობილია, სიღარიბის მაღალი პროცენტის არსებობა ყოველთვის ბაძებს საფრთხეს სოციალური სტაბილურობისთვის. ახალგაზრდა თაობის წინაშე არსებული პრობლემები პოსტსაბჭოურ საქართველოს მთავრობებს აიძულებდა, თუნდაც დეკლარატიულ დონეზე, მათ მოგვარებაზე ეზრუნათ. ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოში არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციები ძირითადად პოლიტიკური საქმიანობით იყვნენ დაკავებული და თითქმის არ უთმობდნენ ყურადღებას ახალგაზრდების წინაშე არსებულ ისეთ მწვავე სოციალურ პრობლემებს, როგორც არის სიღარიბე, უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა, ახალგაზრდა ოჯახების პრობლემები, ნარკომანია, ადეკვატური განათლების მიღების ხელმისაწვდომობა და სხვ. ამ მხრივ არ გამოირჩეოდნენ არც სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზაციები. „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან განხორციელდა ზენოლა უმაღლეს სასწავლებლებზე მათი გაკონტროლების მიზნით, შედეგად ბევრ სხვა ნეგატიურ პროცესთან ერთად 2-3 წლის მანძილზე მათ შეძლეს პირველ რიგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და, შესაბამისად, ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სიტუაციის გაკონტროლება. სტუდენტური თვითმართველობები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გადაიქცნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ინსტრუმენტად. მიუხედავად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა, რომელშიაც საკუთარი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, უმაღლესი სასწავლებლების თვითმართველობები კვლავ რჩებიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიზირებულ დანაშაუდს“, — აღნიშნულია დოკუმენტში. საქართველოში ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემების კვლევისას „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მეტრეველმა რამდენიმე



კონკრეტული რეკომენდაცია შემუშავა. მათ შორის არის საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის სახელმწიფოს მოქმედების დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება, ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობით უწყებათაშორისი საბჭოს შექმნა და პრობლემების მოგვარების მიზნით სპეციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება. ამ დროისთვის „თავისუფალ სტუდენტთა კავშირი“ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მუშაობას აგრძელებს. ეს პროცესი ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბების საკითხზე გამოცდილების გაზიარების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და საქართველოს საკანონმდებლო

ბლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციებს ითვალისწინებს. „მე გახლდით ესტონეთში, სადაც ახალგაზრდების პრობლემები უმაღლეს დონეზე გადაჭრილი. თუნდაც ნარკომანიის საწინააღმდეგოდ უამრავი ბაზაა შექმნილი. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი დაწესებულებები ჯერჯერობით არ არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვვაქცს აქტიური კომუნიკაცია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან. ჩემი ინფორმაციით, სამინისტრო ახალგაზრდების პრობლემების გადაჭრით დაინტერესებულია და უკვე შემუშავებული აქვთ ახალგაზრდული პოლიტიკის გეგმა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სტუდენტური თვითმართველობების როლიც. კვლევების მიხედვით კი სტუდენტობა ამჟამად მათი მუშაობით უკმაყოფილოა. ე.ი. რაღაც არ არის კარგად. კონკრეტულად ამ საკითხზე და, ზოგადად, ახალგაზრდების პრობლემებზეც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა ეს ერთ ან ორ თვეში ვერ მოგვარდება, რადგან წინა ხელისუფლებამ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დატოვა. მთავარია, მათი მხრიდან დაინტერესება არის და ხედებიან, რომ ვითარება რეალურად მძიმეა. მსჯელობა მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში ვგეგმავ საქართველოს პარლამენტში ახალგაზრდების პრობლემების თემებზე შეხვედრების გამართვას“, — განაცხადა „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მეტრეველმა. საქართველოში ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების თემაზე „თავისუფალ სტუდენტთა კავშირი“ სამეცნიერო კონფერენციის მოწყობასაც გეგმავს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის მარტში გაიმართება.



გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია

22 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში — „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის გულიკო ცოტაძის ინიციატივით, ორი მნიშვნელოვანი პროექტი: „რეკრეაციული დანიშნულების ობიექტების წყლის ხარისხის კვლევა თბილისის შემოგარენში“ (ხელმძღვანელი: დოქტორი ნინო ბეკოშვილი — ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი) და „მძიმე მეტალების შემცველობის კვლევა ადამიანის ბიოლოგიურ მასალაში“ (დოქტორი დავით კეკელიძე — ნივთიერებათა კვლევის ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე) თსუ-ში სკოლის მოსწავლეებთან ერთად განხორციელდება. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, საზოგადოებაში ეკოლოგიური კულტურის

დაბალი დონე უარყოფით გავლენას ახდენს ეკოსისტემაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში; მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო-საველე ექსპედიციებში და წყლის ხარისხის კვლევაში. ამისათვის გამოიყენებენ თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიას და უახლეს ხელსაწყოებს. ასევე, აითვისებენ ქიმიურ ლაბორატორიაში და საველე პირობებში მუშაობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს. კვლევით სამუშაოებში ჩართულობის ის მოსწავლეები, ვისაც აინტერესებს ეკოლოგია და უყვარს საბუნებისმეტყველო საგნები. გულიკო ცოტაძის ინიციატივით, პროექტების ფარგლებში კვლევით სამუშაოებში ჩართულობის თბილისის 11-ე და 141-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, ეკოლოგიით. მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას, დაეუფლებიან მეცნიერ-მკვლევარის და ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს.

შურთხია ბაროშვილი



თსუ-დესპანებმა საჯარო სკოლებში მორიგი კამპანია გააჩაღეს



უკვე მესამე წელიწადია, რაც „საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტი „თსუ-დესპანი“ წარმატებულად მიმდინარეობს. „თსუ-დესპანი 2014“ სტარტს იღებს და თავის საქმიანობას საქართველოს ყველა რაიონში აგრძელებს. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების გიორგი გრიგოლაშვილისა და ქეთი მურუსიძის ინიციატივა თანამოაზრეებმა ერთხმად აიტაცეს და უკვე წლებია დიდი პოპულარობით სარგებლობს. სტუდენტური არდადეგების პერიოდში, პროექტში ჩართული სტუდენტები თავიანთი სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან, ასევე, უნივერსიტეტის ორენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს „თსუ მეცნიერება“-ს გააცნობენ. „პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება და საქართველოს 28 რაიონს მოიცავს. ღონისძიებაში ჩართულია თსუ-ის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი. მნიშვნელოვანია, რომ პროექტში მონაწილე სტუდენტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. პირველ წელს პროექტში თუ 120 სტუდენტი მონაწილეობდა, მეორე წელს 500 სტუდენტმა გამოთქვა სურვილი, წელს კი მათი რიცხვი 800-მდე გაიზარდა, რაც პროექტის ეფექტიანობაზე მეტყველებს. იგი ყოველწლიურად მეტად მასშტაბური და პოპულარული ხდება. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს პასუხისმგებლობასაც ზრდის, ღირსეულად რომ წარმოვაჩინოთ უნივერსიტეტი და საკუთარი თავი“, — განაცხადა საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორ-

მა გიორგი გრიგოლაშვილი. პროექტის მიზანია განათლების უმაღლესი საფეხურის - უნივერსიტეტისა და სწავლების საშუალო საფეხურის — სკოლების ერთმანეთთან დაახლოება და გათვლილია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის. „პროექტის ინიციატორები უნივერსიტეტის გამორჩეული სტუდენტები არიან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებაში და საინტერესო იდეებსაც გვთავაზობენ. „თსუ-დესპანი“ მათი იდეაა. თსუ-ის ადმინისტრაცია ყოველთვის მხარს დაუჭერს სტუდენტების საინტერესო ინიციატივებსა და იდეებს“, — აღნიშნა თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელმა მარინე ლომოურმა. პროექტის მონაწილე სტუდენტები სკოლის მოსწავლეებს არა მარტო თსუ-ის შესახებ მიაწვდიან ინფორმაციას, არამედ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზეც ესაუბრებიან. სტუდენტებმა გიგა ჩალაურმა და ეკა ლაზარაშვილმა, რომლებიც უკვე მესამე წელია აქტიურად მონაწილეობენ პროექტის ორგანიზებაში, დესპანებს წარმატებები უსურვეს და მოუწოდეს, რომ სკოლაში მოსწავლეებს თსუ-ის შესახებ მხოლოდ ობიექტური ინფორმაცია მიანდონ. შეხვედრის ბოლოს დესპანებს მშობლიურ სკოლაში წასაღებად თსუ-ის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები და საჩუქრები დაურიგდით.

თამარ ღაღინი



პაოლო დელ ბიანკო იტალიაში საქართველოსადმი მიძღვნილი გამოცემის მოწყობას გვთავაზობს



ია ხუბაშვილი:

— მჯერა, რომ ამჟამინდელ შემთხვევით არაფერი ხდება და, რომ ყველა ადამიანი თავისი დანიშნულებით მოდის. ორივე დისერტაცია იტალიის ისტორიაში მაქვს დაცული. როდესაც ბოკაჩოს შემოქმედების ისტორიულ ასპექტებზე ვმუშაობდი, აღმოვაჩინე, რომ იტალიური რენესანსის კორიფეები: დანტი, პეტრარკა და ბოკაჩო თავისი დროის დიდი დიპლომატებიც იყვნენ. ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება იტალიური დიპლომატიის სისტემით, რომელიც იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ თუ არ ჩავთვლით თანამედროვე ტექნოლოგიებს, იგი უკანასკნელი 500 წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. სადოქტორო დისერტაცია ფლორენციისა და ვენეციის დიპლომატიის დიპლომატიისა და, შესაბამისად, ლექციებსაც საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში ვკითხულობ.

იტალიაში ჩემი საქმიანობით დაინტერესდნენ და 2003 წელს რომელიმე დელ ბიანკოს ფონდის პრეზიდენტმა პაოლო დელ ბიანკომ ფლორენციაში მიმიწვია. აქედან დაიწყო ჩემი ინტენსიური ურთიერთობა იტალიასთან. ყოველწლიურად უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მხარდაჭერით, ჩემს სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი, როგორც ექსპერტი, ფონდის მიერ დაგეგმილ სტუდენტურ ვორკშოპებსა და კონფერენციებში. ფლორენციაში ერთკვირიანი ვიზიტის ხარჯებს ფონდი გვინაზღაურებდა.

2010 წელს ვიყავი ორი კონფერენციის ორგანიზატორი: მათგან საყურადღებოა — „XV საუკუნის სამოქალაქო ჰუმანიზმი ფლორენციაში და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვეობაში“ სტუდენტებისთვის გაიმართა და მას ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორებიც დაესწრნენ. ერთერთი მოხსენება ქართული რენესანსის საკითხებს ეხებოდა. კონფერენცია ჩატარდა ფლორენციის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. აქვე მოეწყო ჩემი მონოგრაფიის „იეზუიტების ორდენის“ პრეზენტაცია. რაც შეეხება მეორე კონფერენციას — „ვეროპის უსაფრთხოება და კავკა-

სია“, იგი პროფესორ-მასწავლებლებისთვის იყო განკუთვნილი. ასე რომ, იტალიასთან ჩემი ურთიერთობები შეიძლება ასე ჩამოვყალიბო: ქართველ სტუდენტებს ვაზიარებდი იტალიური კულტურის შედეგებს და ამასთანავე იქ ქართული კულტურის პოპულარიზაციას ვწვეოდი.

— საინტერესოა ამ ფონდის საქმიანობა, რომელიც ასე უწყობს ხელს ქართული კულტურის პოპულარიზაციას...

— რომელიმე დელ ბიანკოს ფონდი 1998 წელს შეიქმნა და როგორც ფონდის პრეზიდენტი პაოლო დელ ბიანკო ბრძანებს, მას ფონდის დაარსების იდეა საქართველოში გაუჩნდა, რომელიც განსაკუთრებულად უყვარს. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ მას წმინდა ნინოს ჯვართან აჩუქა, რომელსაც იგი ნათლობის ჯვართან ერთად ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პაოლო დელ ბიანკოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2008 წლის ოქტომბერში ფლორენციაში ომგადახდილი საქართველოს კულტურის დღეები გაიმართა. ბატონი პაოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის საპატიო დოქტორი და თბილისის საპატიო მოქალაქეა. მადლიერების ნიშნად, მან უნივერსიტეტს საჩუქრად გამოუგზავნა კარვას თეთრი მარმარილოსგან გამოკვეთილი ლეონარდო და ვინჩის ბიუსტი, რომლის ავტორი ცნობილი იტალიელი სკულპტორი დე რენიუა, საქართველოს სამუზეუმო ქსელი კულტურის ძეგლებთან ერთად კი განათავსა პორტალზე, რომელსაც „ცხოვრება ტურიზმის მიღმა“ ჰქვია. პორტალი არგენტინიდან იწყება და 80-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს, რომელთაგანაც ფონდს ურთიერთობა აქვს. აღსანიშნავია, რომ პორტალის პრეზენტაცია თბილისის მერიაში შედგა, რომელსაც ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება მოჰყვა. ფონდმა 2008 წელს მემორანდუმი გააფორმა უნივერსიტეტთან.

2013 წლის 8 მაისს ფლორენციაში პალაცო კომპინის პომპეზური ინაუგურაცია გაიმართა.

პაოლოს ფორმირების პროცესი ქრისტიანობის წარმოშობის დროიდან დღემდე — ამ თემას მოიცავს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ია ხუბაშვილის ახალი მონოგრაფია, რომლის პრეზენტაციის შემდეგაც ქართველი პროფესორი რომელიმე დელ ბიანკოს ფონდის პრეზიდენტმა პაოლო დელ ბიანკომ კულტურათაშორის დიალოგში შეტანილი დამსახურებისთვის და საქმიანობისთვის ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვა. მონოგრაფია — „რომის პონტიფიკატი და მათი ეპოქა“ სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვისაა განკუთვნილი. მასში შესწავლილი და გაანალიზებულია მსოფლიო ისტორიის უბადლო მოვლენა — პაპობა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. ნაშრომში ვრცელადაა წარმოდგენილი პაპობის ფორმირების ისტორიული პროცესები ქრისტიანობის წარმოშობის დროიდან და მათი ბრძოლა უნივერსალიზმისთვის.

„მონოგრაფიაზე მუშაობისას შევეცადე წარმოვადგინა ქრისტიანობის წარმოშობისა და ევოლუციის პროცესები, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებს რომის ეკლესიის პრიმატი. პაპობის სრულყოფილი ისტორიის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ საეპისკოპოსო ეკლესიისა და ეპისკოპოსთა წარმოშობის დროიდან. სწორედ ამიტომ, ნაშრომში, რომელიც საბოლოოდ ორ ტომად გამოიყვეს, შევეცადე პაპობის ფორმირების პროცესი ქრისტიანობის წარმოშობის დროიდან დღემდე შემესწავლა და გამეანალიზებინა. პირველ ტომში ნაჩვენებია რომის პონტიფიკატის ბრძოლა მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შესაქმნელად, მათი აღზევებისა და კრიზისის პერიოდები, ვატიკანის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესები და ა.შ. ქრონოლოგიურად პირველი ტომი მოიცავს ადრე ქრისტიანობიდან რენესანსამდე პერიოდს“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროფესორმა ია ხუბაშვილმა. ქალბატონი ია იტალიაში სხვადასხვა საინტერესო პროექტებსაც ახორციელებს, რომელშიც თსუ-ის სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი. ამ თემაზე თავად პროფესორი გავგვსაუბრა.

ეს გახლავთ რომელიმე დელ ბიანკოს ფონდის ოფისი, რომელიც ქალაქის ცენტრში, XVI საუკუნის სასახლეშია განთავსებული. პალაცო კომპინი იქნება საერთაშორისო შეხვედრების, კულტურული დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთგაზიარების ცენტრი, სადაც განურჩევლად კონფესიური თუ ეთნიკური განსხვავებისა, ყველას ექნება საშუალება ეზიაროს იტალიური კულტურის შედეგებსა და ამავე დროს საკუთარი ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციაც მოახდინოს. აღსანიშნავია ისიც, რომ რომელიმე დელ ბიანკოს ფონდი უწყობს და იკომოსის პარტნიორი ორგანიზაციაა და კულტურის ძეგლთა კონსერვაციასა და რესტავრაციას მუშაობს.

— თქვენ სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობთ აგრეთვე საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, სადაც განიხილება კავკასიის რეგიონში არსებული პრობლემები. რას გვეტყვი ამის შესახებ?

— კონფერენციებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად იქცა სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია. პირველი ასეთი კონფერენცია კავკასიის ერთიან ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეს მიეძღვნა. მთელი ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს თბილისში. კავკასიის საკითხებით დაინტერესდნენ ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტშიც, სადაც ლექციის ნასაკითხად მიმიწვიეს.

ვისარგებლებ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ ყველა კონფერენცია, რომელიც ჩემი ინიციატივით გაიმართა, თქვენმა გაზეთმა ფართოდ გააშუქა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ „თბილისის უნივერსიტეტი“ ყოველთვის ცდილობს ობიექტურად გააშუქოს უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები, რისთვისაც მადლობას გიხდით.

აქვე ისიც მინდა გითხრა, რომ უნივერ-

სიტეტი ჩემთვის მთელი ცხოვრებაა. 16 წლის გავხდი პირველკურსელი და მას შემდეგ სულ აქ ვარ, სხვაგან არსად მიმუშავია. 2006 წლის რეფორმის შემდეგ, როცა კონკურსში სრულ პროფესორად გასული ყოველგვარი ახსნა — განმარტების გარეშე ქუჩაში აღმოვჩნდი, მაშინაც კი ვერ წარმოვიდგინე, როგორ უნდა მიმუშავა სხვაგან. გვერდით ისევ სტუდენტები დამიდგნენ, 200-დე ხელმოწერა შეაგროვეს და მაშინდელ რექტორს ჩემი დაბრუნება სთხოვეს. ასე დავბრუნდი პედაგოგის სტატუსითა და მიზერული ხელფასით უნივერსიტეტში.

ტრადიციულად, უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტებით. დღესაც ასეა: ექვს არჩევით საგანს ვკითხულობ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, რომლებსაც სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები ირჩევენ. მათი უმეტესობა ძალიან გონიერი და პრობლემისგარეშეა, რაც სტიმულს მაძლევს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად გავმართო ერთობლივი კონფერენციები და იქ ვიამაყო ჩემი სტუდენტების აკადემიური გამოსვლებით, რომლებიც ხშირად ამკარად გამოირჩევიან აზროვნების სიღრმეებით, დახვეწილობითა და კამათის კულტურით.

დღეს უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც საკადრო პოლიტიკას, ისე უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობებს, ამიტომაც იმედი მაქვს, რომ ფლორენციასთან ჩემი ურთიერთობები გაგრძელდება, პოსტდოქტორანტურის შექმნა კი უნივერსიტეტს სამეცნიერო პოტენციალს შეუნარჩუნებს. ხუთი დოქტორანტის ხელმძღვანელი ვარ და ძალიან მახარებს ბატონ ლადო პაპავას ეს გადაწყვეტილება.

რამდენიმე დღის წინ პაოლო დელ ბიანკოსგან წერილი მივიღე, სადაც იგი პალაცო კომპინიში საქართველოსადმი მიძღვნილი გამოცემის მოწყობას გვთავაზობს. ვფიქრობ, ამ წინადადებაზე დაფიქრება ღირს.

მომაზნადა შურისხმა ბაროშვილმა



სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს რექტორებმა: აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და პოლკოვნიკმა ზურაბ აგლაძემ.

აღნიშნული მემორანდუმის ფორმატი 11-12 დეკემბერს გორში თავდაცვის აკადემიაში გაიმართა სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „შავი ზღვის რეგიონი: პერსპექტივები და საფრთხეები“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ თავდაცვის ეროვნული აკადემიის სამეთაურო-სამხატვრო სკოლის უფროსი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, მაიორი იროდი ქადაგიშვილი, უფროსი ინსტრუქტორი, ვიცე პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლოშვილი და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ია ხუბაშვილი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე შავი ზღვის

საერთაშორისო უნივერსიტეტის, ევრო-კავკასიური უნივერსიტეტისა და სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თსუ-სა და თავდაცვის აკადემიის ერთობლივი კონფერენციები უკვე ტრადიციად იქცა და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებების სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები პროფესორების თემიურაზ პაპასქიჩისა და ია ხუბაშვილის ხელმძღვანელობით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები, რომლებიც შავი ზღვის აუზის ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა და აქტუალურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ფართო დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა.

„შავი ზღვის რეგიონი ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და უდიდეს როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც მსოფლიო პოლიტიკას ეკონომიკური პროცესები განსაზღვრავს. XX საუკუნის 90-იანი წლების კარდინალურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა შავი ზღვის პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა.



რეგიონში დაინყო გლობალური მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების განხორციელება, მათ შორის აღსანიშნავია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი, ენერგეტიკული პროექტები, შავი ზღვის აუზის ქვეყნების (რუსეთის გარდა) ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პროგრამაში ჩართვა, ბისეკის შექმნა და ა.შ.

რაც შეეხება საფრთხეებს, რომლებიც რეგიონის განვითარებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ტერიტორიული დავები, ტერორიზმი, რომლის გავრცელებას ხელს უწყობს აგრესიული სეპარატიზმი, კინებურსავტორთობა, ენობრივი პოლიტიკის პრობლემები და სხვა. რაც შეეხება ეკონომიკური ხასიათის გამოწვევებს, ისინი

უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული არიან შავი ზღვის რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან. ამ საკითხებს შეეხებოდა სტუდენტთა მოხსენებები, რომლებშიც ისინი გონიერულად აანალიზებდნენ შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობას და ცდილობდნენ თავიანთ მოხსენებებში საკუთარი ხედვა წარმოედგინათ“, — განაცხადა ქალბატონმა ია ხუბაშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის პრეზიდენტმა ირაკლი ჟორჯოლიანმა, რომელმაც თავის გამოსვლაში აკადემიასთან თანამშრომლობის პერსპექტივებსა და ერთობლივ პროექტებზე ისაუბრა და სერთიფიკატები და სიგელები გადასცა კონფერენციის მონაწილეებს.



5 გერმანულ-ქართული ბოტანიკური ექსპედიცია ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიონზე

ონვე ვაგახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის. ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, წელს უკვე მეოთხედ, მოეწყო გერმანულ-ქართული 2-კვირიანი ბოტანიკური ექსპედიცია, ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიონზე, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სტატიის ავტორი და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ჰაუსენგეტის ჰერბარიუმის კურატორი დოქტორი იოახიმ ცუნდორფი.

ექსპედიციის წინ, გერმანულ კოლეგებსა და სტუდენტებს უნივერსიტეტში შეხვდნენ ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი დიანა ძიძიგური და ბიომრავალფეროვნების მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი არნოლდ გეგეჟკორი. უცხოელი სტუმრებისათვის ძალიან საინტერესო ლექცია წაიკითხა პროფესორმა არნოლდ გეგეჟკორმა რომელიც ეხებოდა კავკასიის ყელის ბიომრავალფეროვნებას. ამის შემდეგ, გერმანულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ზოგადად იენის უნივერსიტეტისა და ბიოლოგიის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე სწავლების შესახებ.

ბოტანიკური ექსპედიცია ითვალისწინებდა მდინარე თერგის (ხევი), ასას, არღუნის (პირიქითი ხევსურეთი), არაგვის (პირაქეთი ხევსურეთი) და სტეპური და ნახევარუდაბნოების (გარეჯი, შიო მღვიმე) ბიომრავალფეროვნების გაცნობას, იმეათი და ლოკალური ენდემების ეკონომიკის დაფიქსირებას, ცალკეული ბიომების (ტყეების, სუბალპური მაალბალახეულობის, კავკასიური დეკანების, ალპური ხალებისა და გლაციალური რელიეფის პეტროფიტონის) ფლორისტული სიების შედგენას, ასევე, ზოგიერთი მცენარის შეზღუდული რაოდენობით ჰერბარიზაციას თსუ (TB) და იენის (JE) საერთაშორისო ჰერბარიუმების კოლექციების შესავსებად. ორი კვირის განმავლობაში ფეხით გავიარეთ დაახლოებით 150კმ ზურგნანთებით, საძილეებით, საჰერბარიუმო კოლექციებითა და საჭირო მშრალი პროდუქტებით.

ბოტანიკური აღწერები სნოს წყლის ხეობიდან დაიწყო. ორი დღის განმავლობაში სავსე სამუშაოები გაგრძელდა სოფელ ჯუთის, ჭაუხუბის და რუსეთის საზღვრის მიმართულებით. მოვიარეთ ტყის, სუბალპური, ალპური და სუბნეალპური სარტყლები, გავეთვა ბოტანიკურ-გეოგრაფიული პროფილი, შედგა ფლორისტული სიები და შეგროვდა საჰერბარიუმო მასალა.

ბოტანიკური სამუშაოები გაგრძელდა გზად არხოტისკენ. შევადგინეთ სხვადასხვა ბიომების ანთროპოგენული და შედარებით დაცული ტერიტორიების დეტალური ფლორისტული სიები; გზადაგზა დაფიქსირდა ენდემური მცენარეების (ბაიერნის ფურისულა, ფსევდოვუზიკარია, ყაზბეგის პირთეთრა და



სხვა) გავრცელება და შეფასდა პოპულაციების მდგომარეობა. შემდეგ, სამთრეხლოს უღელტეხილის გავლით (3300 მ) ექსპედიციამ მუშაობა გააგრძელა გზა ასას ხეობაში-ჭიმლის, ახიელის და აშლის მაღალმთაში. აქ სტუდენტები დიდი ინტერესით გაცნენ კავკასიონზე ადგილობრივი იმეათი, ენდემური და არქტო-ალპურ მცენარეთა (ალპური კესანე, ფხიჯა, კენერა, ლილია) პოპულაციების ეკონომებს. ეს არქტო-ალპური მცენარეები გავრცელებულია ასევე ევროპის ალპებში, ოღონდაც შედარებით განსხვავებულ მაღალმთის ეკოსისტემში. აღნიშნული განსხვავება მეცნიერებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააკეთონ კავკასიონისა და ევროპის ალპების მაღალმთის ფლორის შედარებითი სისტემატიკურ-გეოგრაფიული, სიმადლებრივი გავრცელებისა და ეკოტოპოლოგიური ანალიზი, მოამზადონ მომავალში სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები.

ექსპედიციამ მუშაობა გააგრძელა მდინარე ასის ქვედა მონაკვეთში (რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთი) და კალთანის ხეობის გავლით, გეზი მდინარეების არღუნის და არაგვის ხეობების წყალგამყოფისაკენ (ანატორის ღელე) აიღო, სადაც მსგავსი სავსე სამუშაოები ჩაატარა. ექსპედიციის ბოლოს ბოტანიკური მარშრუტები განხორციელდა ხევსურეთის არაგვისა, გარეჯის და შიომღვიმის კონტრასტული ფიტოლანდშაფტების გაცნობის მიზნით.

ამჟამად მიმდინარეობს ველზე მოპოვებული მასალების კამერალური დამუშავება. მიღებული შედეგები გამოქვეყნდება, როგორც გერმანულ ისე ქართულ სპეციალურ გამოცემებში. ასევე, მოკლე ხანში ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტში გამოიცემა ნიგნი-დღიური, სადაც აისახება ექსპედიციის ყოველი დღის პროფესიული და ყოფითი ნიუანსები, შთაბეჭდილებები, მოსაზრებები, ექსპედიციის წევრთა მორიგეობის განრიგი, შესაბამისი ფოტომასალები და სხვა. ნიგნს დაერთება გავლილი მარშრუტების რუკა, ფლორისტული მოკლე სიები და კავკასიის მცენარეულობის მრავალფეროვნების პროფილის ამსახველი სქემა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ გავლილი გზა წინა წლებში და ამჟამად ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიონზე ნაწილობრივ ემთხვეოდა იმ მარშრუტს, რომელიც 1935 წელს ამ მხარის ფლორისა და მცენარეულობის შესწავლის მიზნით გაიარა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა, ხოლო უფრო ადრე კი, 1876 წელს გუსტავ რადემ, მერცხაბერმა და სხვებმა.

შაილ შატიკაური,
ბიომრავალფეროვნების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მილოცვა

80-იანელთა მილოცვა 80 წლის იუბილარ პროფესორს

2013 წლის 8 ნოემბერს ივანე ვაგახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის სახელობის დარბაზში შედგა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, მამულიშვილის, პედაგოგისა და მეცნიერის — აკაკი ლაბარტყავას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული ნიგნის პრეზენტაცია, სადაც იქ დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად წამოიძახა უნივერსიტეტში მამულიშვილის „აკაკი ლაბარტყავას ვარსკვლავი“, რამაც ბატონი აკაკი აღაშფოთა და როდესაც დააპირა უარყო დარბაზის მოთხოვნა, პროფესორმა რომან შენგელიამ მისასალმებელი სიტყვით გამოხვალისას ბრძანა, რომ ეს ნიგნი ბატონი აკაკი ლაბარტყავას ვარსკვლავია, ვინაიდან მის მიერ განვლილი საუნივერსიტეტო და ცხოვრების გზა ათასეულობით ქვეყნარტი იურისტის მიერ განვლილი და სამოხაველოდ ღირსეულად გასავსელები გზის ნათელი მაგალითია. ეს ის ნათელი ვარსკვლავია, რომელიც 1933 წლის 1 იანვარს აინთო და დღესაც კამკაშებს თითოეული მისი აღზრდილის ოჯახში და ივანე ვაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ თეთრ კედლებში, სადაც ბატონი აკაკი ჩვეულებრივად და მხნეობით აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბატონი აკაკი! ახლა კი უდიდესი პატივისცემითა და მადლიერების ნიშნად, გასული საუკუნის 80-იანი წლების სტუდენტთა (და არა მარტო მათი სახელით — უბრალოდ ეს სიმბოლურია და ლაბაზი დამთხვევას) გულწრფელად მინდა მოგილოცოთ დაბადებიდან 80 წლისთავი, რომელიც სწორედ რომ 2014 წლის 1 იანვარს შეგისრულდათ. რაც შეეხება თქვენი სახელობის ვარსკვლავის გახსნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ეს ვარსკვლავი არა ერთი, არამედ მთელი ვარსკვლავებია მართლაც იმ საიუბილეო სახელმძღვანელოს სახით გამოცემული, ღირსეული და პატივცემული ძეგლის — ბატონების: ლადო და გურგენ ჭანტურიების მადლით, რომელიც ხელიდან ხელში გადადის არა მარტო საქართველოში, არამედ მას ევროპისა და ამერიკის კონტინენტზეც ეცნობიან თქვენი აღზრდილი თაობების მემკვიდრეობით და მადლიერებას გამოხატავენ თქვენი დაუღალავი ღვაწლისთვის, რომელიც ამ ნიგნში გამოქვეყნებული შთამბეჭდავი წერილების 33 ავტორის მიერაა გამოთქმული. ამ დღეებში, თქვენდამი დაბადების დღის მილოცვა უდიდეს ენერგიას და სიკეთეს შემატებს თითოეულ ქართველს და ქვეყნარტი მამულიშვილს, ვინაიდან თქვენ თვითონ ბრძანდებით, ბატონი აკაკი, დაუდგრომელი სულის, მუდამ ახლის ძიებისა და სხვებზე ზრუნვისთვის მოვლენილი, მართლაც საა-



ხალწლო საჩუქრად — 1 იანვარს დაბადებული კოლხი — „სუჯუნელი ბიჭი“! (თავად ასე უწოდებდა თქვენს თავს საიუბილეო საღამოზე გამოხვალისას). თქვენს მიერ აღზრდილი და განსწავლული თითოეული იურისტი თავის სპეციალობაში გამორჩეული რომ უნდა ყოფილიყო, ამას განსაკუთრებით გამოყოფით ხოლმე, მაგრამ მათში იმ სულიერებასაც ეძიებთ, რომელსაც თქვენივე მეცადინეობითა და აქტიურობით სტუდენტთა თვითშემოქმედებითი კოლექტივების მზადებისას რომ იჩენდით საუნივერსიტეტო ოლიმპიადების პერიოდში და ბევრ გამორჩეულ და წარ-

მატებულ იურისტ-ხელოვანსაც კი დაულოცეთ გზა. თქვენ ბრძანდებით ის ერთადერთი ინიციატორი საქართველოში, რომელმაც სულგანათლებული უდიდესი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის ნიგნის „დათა თუთაშხიას“ მიხედვით, ამავე სახელწოდებით გადაღებული ფილმის, უკვე ლეგენდულ ქცეული შემოქმედებითი კოლექტივი და მსახიობები, ფილმის გამოსვლის შემდეგ, პირველად სწორედ უნივერსიტეტში და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებსა და სტუდენტობას თქვენ რომ შეახვედრეთ. ბატონი აკაკი, თქვენ ბოლომდე უნივერსიტეტელი დარჩით! ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენი სახელი ამ დიდ ოჯახთანაა გაიგივებული, რომლის ასაკიც ერთადაც, ისევე როგორც თქვენ — ყოველი ახალი წლის შემობრძანებასთან ერთად კი არ ბერდება, არამედ ის ახალგაზრდადება - ვინაიდან უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე - მას ჰყავს პირველკურსელი.

ურმესი პატივისცემითა და სიყვარულით უშიშროების სამინისტროს სავაშობიბო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, უფლებამოსილი, „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ ვიცე-პრეზიდენტი მალხაზ სალაჟიანი

ფრიდონ თოდუა: „სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება გახდეს“

მეთერთმეტე გვერდიდან

— არაერთი საერთაშორისო ჯილდო გაქვთ მიღებული თანამედროვე ევროპის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ასევე, აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ რამდენჯერმე დასახელებული წლის ადამიანად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კარგად იცნობთ თანამედროვე ტენდენციებს და, ამავე დროს, თქვენი საქმიანობა მნიშვნელოვანია მსოფლიოს მასშტაბით. კონკრეტულად, რა დამსახურებებისთვის მოგნიჭათ ეს ჯილდოები?

— ყველა ჯილდო, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის მივიღე, რომ საქმეს კეთილსინდისიერად ვაკეთებ. ჩემთვის ყველაზე მთავარი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა. ყველაზე დიდი ჯილდო კი იმისი განცდაა, როდესაც გრძობ, ყოველდღიურად რამდენიმე რამის გაკეთება შეგიძლია.

შეუძლებელია, არ ვიამაყო იმით, რომ უდიდესი შრომა მაქვს ჩადებული საქართველოს მედიცინისთვის ახალი თაობის ექიმების აღზრდაში. ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსწავლეებია. ჩემთვის ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ) საუკეთესო სპეციალისტად ითვლება, ყველაზე დიდი ჯილდოა.

— საქართველოში დღეს მრავალი სირთულეა — როგორც განათლების, ისე მედიცინის სფეროში. რაზე ვაამბობთ ყურადღებას და როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემები?

— მინდა გითხრათ, რომ განათლებაც და მედიცინაც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობასთან და მისგან განყენებულად ამ სფეროებზე მსჯელობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. სანამ ქვეყანაში არ იარსებებს სოციალური უზრუნველყოფის მყარი გარანტიები, რაიმეს მოგვარებაზე საუბარი წყლის ნაყვად და სხვა არაფერი. სოციალური გარანტიები კი, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, საკანონმდებლო სფეროს მონერსტივობასთან არის დაკავშირებული. ამაზე საუბარი ძალზე შორს წავიყვანს. ერთი კი ცხადია, ბევრი რამ მონერსტივობადაა, ყველამ რომ თავისი საქმე კეთილსინდისიერად აკეთოს.

— პირველი იყავით, ვინც საქართველოში კერძო სამედიცინო დაწესებულება შექმნა. საინტერესოა, როგორ ხედავთ სამედიცინო ბიზნისის მომავალს?

— როდესაც მედიცინას, როგორც მხოლოდ ბიზნესს ისე უყურებ, ეს კატასტროფაა! მედიცინა განსაკუთრებულად სათუთი დარგია. ცხადია, როდესაც საქმეში დიდ ძალისხმევას, ნერვებსა და შრომას ჩადებ, უკუგებასაც ელი. ყოველი შემთხვევა მედიცინაში ადამიანია, სიცოცხლეა და ის ბიზნესმომსახურების ობიექტი ვერ იქნება. ამიტომაც, მედიცინას, როგორც ბიზნესს, ნამდვილად ვერ შევაფასებ. ჩემთვის მედიცინის განვითარებაზე საუბარი სამედიცინო პრაქტიკის სრულყოფაზე, სამედიცინო მეცნიერების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე საუბარს ნიშნავს.

— თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი ხართ. რას გვეტყვით დღეს თსუ-ში მიმდინარე პროცესებზე: რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული უმაღლესი განათლება და ჩვენი უნივერსიტეტი?

— როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, სრულად ვიზიარებ ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს. მიმაჩნია, რომ საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, როდესაც რექტორად აირჩია ბატონი ლადო პაპავა — დიდი მეცნიერი, კარგი ორგანიზატორი და, რაც მთავარია, კეთილშობილი პიროვნება. მას არ დაუწყია უნივერსიტეტში მკვეთრი, რადიკალური და მტკივნეული გარდაქმნები, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ჩვენს სინამდვილეში. მისი ყოველი ნაბიჯი არის გათვლილი, მოფიქრებული, სიტუაციისა და რეალობის შესაფერისი და ვფიქრობ, სწორედ ესაა განვითარების და წინსვლის საუკეთესო გზა.

განათლება, ზოგადად, არის ერის წინსვლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა და ჩვენი მოვალეობაა, შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შევუწყოთ და სრულყოფით ეს პროცესი.

მინდა, ჩვენი დედა-უნივერსიტეტი იყოს ყველაზე ნარმატიული და მსურს, იგი გახდეს ერთერთი რეიტინგული ევროპაში. ვფიქრობ, ჩვენს რექტორსა და საბჭოს აქვს საამისო რესურსი.

ზოგადად, მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში მუშაობა დიდ პრესტიჟთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა — ამას მოფრთხილება უნდა. სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველი ერისთვის ტრადიციულად ცოდნის ტაძარი იყო, აქ მუშაობდნენ ლეგენდარული ადამიანები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია. მინდა, რომ ჩვენს შემდეგაც ასეთად დარჩეს და შთამომავლობამ სათანადოდ შეაფასოს ჩვენი მოღვაწეობა.

— როგორია ფრიდონ თოდუა ოჯახურ გარემოში? რას გვეტყვით თქვენი უახლოესი ადამიანების შესახებ?

— როგორც ყველა ადამიანისთვის, ჩემთვისაც ოჯახი ყველაზე ძვირფასი რამ არის. მეუღლე და ქალიშვილი ექიმები არიან. რაც შეეხება შვილიშვილებს, ჯერ მხოლოდ სკოლაში სწავლობენ, მაგრამ თუ ექიმობას მოინდომებენ, ნამდვილად არ ვიქნები წინააღმდეგი. როგორც გითხარით, მიმაჩნია, რომ ეს განსაკუთრებული პროფესიაა და ყველამ განსაკუთრებულად უნდა გადანაყობოს, რამდენადაა ამისათვის მონოდებული. ჩემს შვილიშვილებს აქვთ საშუალება, საკუთარი თვალთი ნახონ და შეაფასონ ამ პროფესიის ყველა სირთულე და მომხიბვლელობაც. უფროსი გიორგი 15 წლისაა და ჯერჯერობით მხოლოდ ხიბლს ხედავს, ცოტა გაიზრდება და პასუხისმგებლობის ტვირთსა და სირთულეებსაც დაინახავს, ვნახოთ... რაც შეეხება უმცროსს, პროფესიაზე სერიოზული ფიქრისთვის ჯერ ძალიან პატარაა.

— საკმაოდ ინტენსიური და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ. როგორ ინარჩუნებთ ერთუზა ზმსა და ჯანმრთელობას? რას ურჩევთ ახალგაზრდებს?



— ასე მგონია, რომ ყოველი განხორციელებული პროექტი ერთუზაზმით ავსებს ადამიანს და სწორედ ეს არის ჩემი ენერჯის წყაროც. ძალიან ბევრი დადებითი ემოცია მოდის, როცა დასახულ მიზანს აღწევ. თუმცა, აუცილებელია, ეს მიზნები საღად და რეალურად გათვალისწინებული იყოს, რათა იმედაცრუებამ ფრთები არ შეგვიკვეცოს. მთავარია, ფეხი აუწყო და არ ჩამორჩე დროს, თორემ ხომ ხედავთ, თანამედროვე ცხოვრება ისეთი ტემპებით ვითარდება, რომ ერთი წუთით არ იძლევა მოღუწების საშუალებას. მუდმივად სწავლა, კითხვა, საკუთარ თავზე მუშაობა და განვითარება გინდა — სხვაგვარად არაფერი გამოვა. მოსვენება და მცონარობა ტვინს აჩლუნგებს.

— რა არის ფრიდონ თოდუას ჰობი და თუ გრჩებათ თავის-უფალი დრო?

— არ მესმის — რა არის თავისუფალი დრო? ანუ რისგან ხარ თავისუფალი? ცხოვრებისგან? ადამიანმა უნდა იცხოვროს თავისი ინტერესებით, საქმით. როდესაც ეს საქმე სიამოვნებას განიჭებს, მისგან გათავისუფლება არ გჭირდება.

— დღევანდელი გადასახედიანდ, რა მიგაჩნიათ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად?

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის მიღწევებია, რომლებიც ჯერ კიდევ წინაა და თავის ჯერს ელის. ვფიქრობ, სწორედ ისინი იქნებიან ყველაზე მნიშვნელოვანი!

მომავლად ლელა კურდღლაშვილი

შემოგზავნა უნივერსიტეტისკენ

მესამე გვერდიდან

აკადემიისა, რომელიც ევროპაში უძველესია და რომელიც იყო „სხვა ათინა და მეორე იერუსალიმი“. ეს უნივერსიტეტი არის აღორძინება ქართული მეცნიერებისა, ქართული უმაღლესი განათლებისა და შემთხვევითი როდია, რომ თბილისის უნივერსიტეტი ითვლებოდა და ითვლება წამყვან სამეცნიერო დაწესებულებად მთელ აზიურკავკასიაში...“

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა, ასევე, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ იწყება უნივერსიტეტისკენ შემობრუნების პროცესი, რაც აუცილებლად გამოიღებს დადებით შედეგს: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენი გამოვლა ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა სახელმწიფომ უნივერსიტეტისკენ მოიხიდა. თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა, როგორც სამეცნიერო და სასწავლო კერა. აქ შეიქმნა მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლები, გაიზარდნენ მეცნიერები, რომლებმაც საქართველოს სახელი გაიტანეს მსოფლიოს მასშტაბით. შემდგომ წლებში კი უნივერსიტეტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან დაკარგა სამეცნიერო ნაწილი, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო, შემდეგ კი გატარდა მთელი რიგი ე.წ. რეფორმები, რომელმაც უნივერსიტეტისთვის მძიმე შედეგები მოიტანა. დღეს ვხედავ, რომ შეიცვალა დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ. თქვენი გამოსვლა იმის იმედს მძლავრებს, რომ ის, რისი გამოსწორებაც საჭიროა, მალე გამოისწორდება“, — აღნიშნა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულებაზე და აქ დამკვიდრებულ ტრადიციებზე ისაუბრა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ: „ამ უნივერსიტეტში პირველად ფეხი დაგადგი დაახლოებით 80 წლის წინ, როცა მამაჩემმა ხელჩაკიდებული შემომიყვანა. მას აქვთ ჩემი ცხოვრება უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. მე უნივერსიტეტის დაარსებას არ მოვსწრებოვარ, მაგრამ იმას კი მოვესწარი, რომ ახალდაარსებული უნივერსიტეტის მესვეურები ჩვენს გარშემო ტრიალებდნენ და ამ უმაღლესი სასწავლოების გარშემო მსჯელობდნენ... მსჯელობდნენ ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, ჩუმად... XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა პეტერბურგში, ქართველ ახალგაზრდა მეცნიერთა წრე უნივერსიტეტის დასაარსებლად ემზადებოდა, მათაც და მონიანე ქართველ საზოგადოებასაც კარგად ესმოდა, რომ შემდგომი წინსვლა ერისა შეუძლებელი იყო, თუ არ იქნებოდა საქართველოში უმაღლესი განათლება. ქართული უნივერსიტეტის არც დაარსება იყო ადვილი და არც მისი შემდგომი გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ვინც ერს მტრობდა, მათ კარგად ესმოდათ, რომ პირველ რიგში დარტყმა იმ ადგილისა და ხალხისთვის უნდა მიეყენებინათ, სადაც სულიერი კულტურა მუშავდებოდა და სადაც

თსუ 96 წლისაა



მომავალი თაობა ყალიბდებოდა. დღეს, როცა მსოფლიოში ამდენი ახლად ჩამოყალიბებული ქვეყანაა, ყველა ზრუნავს განათლებაზე, რათა ხალხმა აკადემიური, მოქალაქეობრივი, საზოგადოებრივი განათლება მიიღოს და მცოდნე და თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს. ამისთვის იბრძოდა უნივერსიტეტი ყოველთვის და ამის გადმოცემას ცდილობდნენ ჩვენთვის ძველი თაობის წარმომადგენლები. არ ვიცი, რამდენად შეძლო ჩვენმა თაობამ ამ ტრადიციების ღირსეულად გაგრძელება, რადგან ჩვენ ძალიან მძიმე და რთული გზა გავიარეთ, მაგრამ, დღეს, მიუხედავად ყველაფრისა, სიახლეებს ვხედავთ და იმედიანი

მომავალი გვესახება — რომ ის ტრადიციები, ის აზრი, ის გაგრძელება ილია ჭავჭავაძის ჩამოყალიბებული გზისა, უწყვეტი იყოს. მინდა ჩვენმა ახალგაზრდებმა იცოდნენ ძველი და შექმნან ახალი, ჩამოყალიბდნენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ სწავლულებად და მოქალაქეებად, რომ ჩვენმა თაობამ მომავალს იმედიანად შეხედოს“, — აღნიშნა ქალბატონმა მზექალა შანიძემ.

უნივერსიტეტს დაარსების 96 წელი მიულოცეს ასევე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, თსუ-ის პროფესორმა დავით ნარმანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებთან დიდი პატივია სადაც უნდა იყო და რასაც უნდა აკეთებდეს. „არასოდეს დავეტოვებ უნივერსიტეტს, რადგან აქ დაიწყო ჩემი ცხოვრების გზა, როცა 1996 წელს სტუდენტი გახდით. სადაც კიდევ ერთხელ შევიგრძენი იმ დიდი ადამიანების სული, რომლებიც წლების განმავლობაში აშენებდნენ უნივერსიტეტს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, თსუ-ის პროფესორმა ნოდარ ხადურმა მადლიერება გამოხატა უნივერსიტეტისა და მისი აკადემიური პერსონალის მიმართ: „გასული საუკუნე, რომელიც ყველაზე ძნელი იყო საქართველოს ისტორიაში, ქვეყანას დაამახსოვრებდა მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი მოვლენით — ესაა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და უნივერსიტეტის დაარსება. მადლიერი ვარ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და უნივერსიტეტის პროფესორი ვარ. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს ლექტორს, განსაკუთრებით ჩემს მასწავლებელს — ბატონ ლადო პაპავას, რომელმაც ეკონომიკა შემაყვარა. მადლობა უნდა ვუთხრა იმ პროფესორს, რომლებიც მაშინ იდგნენ ჩვენს გვერდით, როცა უნივერსიტეტს უჭირდა. ბედნიერება იყო, თუ ლექცია მზის მხარეს გვიტარდებოდა, რადგან უნივერსიტეტი არ თბებოდა, მაგრამ არც ლექტორი აცდენდა ლექციას და არც სტუდენტი. აქ ტრიალებდა ურთიერთპატივისცემის სიტობა და მე ასეთი უნივერსიტეტი მიყვარს“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ამავე დღეს რექტორმა და საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებმა მთაწმინდის პანთეონში პატივი მიავსეს ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის მმართველი:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, იაკო კაჭკაჭიშვილი,	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე,	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ანა ბოლქვაძე	ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი,	tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე,	2 22 36 62
		ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური	